ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

2015 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბათუმი

2015

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
2015 წლის სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ანგარიში

***** სამეცნიერო ერთეულის (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, განყოფილება) დასახელება– ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

***** სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი–როინ მალაყმაძე, ისტორიის დოქტორი

***** სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა –25

როინ მალაყმაძე (ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი), ნოდარ კახიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი) ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), ნუგზარ ჩხაიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის დოქტორი), კონსტანტინე ღლონტი (მეცნიერი თანამშრომელი) (**ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება**); ბიჭიკო დიასამიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი) ,ოთარ თურმანიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი), ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, უჩა ოქროპირიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), სიმონ გოგიტიძე, მაია ჭიჭილეიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის დოქტორები), ირინე ვარშალომიძე (მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი) (**ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება**); შუშანა ფუტკარაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განყოფილების უფროსი), ელზა ფუტკარაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი), შოთა ზოიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), ნანი გუგუნავა (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი), ნაილე მიქელაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი), ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომლები), შორენა ფუტკარაძე (დოქტორანტი), ომარ მემიშიში, ფილოლოგიის დოქტორი (**ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება**).

I.1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით 2015 წლისათვის
დაგეგმილი და შესასრულებელი სამეცნიერო–კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტების ხელმძღვანელები	სამუშაოს შემსრულებლები
	პირველი სამეცნიერო თემა ქედის მუნიციპალიტეტის ის-ტორიულ–არქეოლოგიური, ეთნოლოგიური და ფოლკლო-	ბიჭიკო დიასამიძე ნოდარ კახიძე შუშანა ფუტკარაძე	ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილება ეთნოლოგიისა და სოციოლო-გიური კვლევის განყოფილება

	რულ–დიალექტოლოგიური დახასიათება* **სამეცნიერო მიმართულება** ისტორიულ–არქოლოგიური, ეთნოკულტურული და ფოლკ-ლორულ–დიალექტოლოგიუ-რი შესწავლა.		ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგ-რანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილება

*** თემა ნაწილია ხუთწლიანი (2013–2017 წლები) პროექტისა „აჭარის ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულები“. 2013–2014 წლებში დამუშავდა თემები: „ხულოს მუნიციპალი-ტეტი“, „შუახევის მუნიციპალიტეტი“.**

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული
და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

№	თემის დასახელება	თემის ხელმძღვანელი	შემსრულებლები
1.	**ქედის მუნიციპალიტეტის** ისტორიულ–არქეოლოგიუ-რი დახასიათება	ბიჭიკო დიასამიძე	ბიჭიკო დიასამიძე, სიმონ გოგიტიძე, ოთარ თურმანიძე, ოლეგ ჯიბაშვილი, უჩა ოქროპირიძე, ნინო ინაიშვილი, გიორგი თავამაიშვილი, ირინე ვარშალომიძე, მაია ჭიჭილეიშვილი

წერილობითი წყაროების, საარქივო და საექსპედიციო მასალების, სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების საფუძველზე დახასიათებულია ქედის მუნიციპალიტეტის ბუნებრივ–გეოგრაფიული პირობები, მისი ისტორია უძველესი დროიდან მუნიციპალიტეტის შექმნამდე (2010 წლამდე) და მის შემდეგ პერიოდში. განხილულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკა (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მშენებლობა, გზები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა), ჯანმრთელობის დაცვის, სპორტისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის საკითხები, მიგრაციული პროცესები, პოლიტიკური რეპრესიები, მოსახლეობის წვლილი ქვეყნის უსაფრთხოებაში (მეორე მსოფლიო ომი, აფხაზეთისა და ცხიგვალის კონფლიქტები); შესწავლილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ–არქეოლოგიური საერო და საკულტო ძეგლები. დადგენილია, რომ არქეოლოგიური ძეგლები (გენეკუთვრება ადრებრინჯაო–ანტიკურ ხანას. ასეთებია: სოფელ კოლოტაურის განძი (ძვ.წ. IV ათასწლეული), მახუნცეთის (ძვ. წ. XVIII-XVI საუკუნეები), საღორეთის (ახლანდელი პირველი მაისი) (ძვ. წ. XIII-XII საუკუნეები), სიხალიძეების, ზუნდაგის (XII-XI საუკუნე), კვაშტის (ძვ. წ. V საუკუნე) ძეგლები.

კვლევის შედეგები დაწვრილებით აისახება კრებულში „ქედის მუნიციპალიტეტი“, რომელიც მომავალ წელს გამოიცემა. ამასთან ერთად, იგი საფუძვლად დაედება ქედის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური რუკის შედგენას, რაც კულტურული (არქეოლოგიური) ტურიზმის სამსახურსაც გაუწევს დახმარებას.

2	ქედის მუნიციპალიტეტის ეთნოლოგიური დახასიათება	ნოდარ კახიძე	ნოდარ კახიძე ჯემალ ვარშალომიძე ნაილა ჩელებაძე თამილა ლომთათიძე რუსლან ბარამიძე ჯემალ მიქელაძე

	გამოკითხვის მასალების მიხედვით)		

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე)

სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე გარკვეულია, რომ გამოკითხულთა (500 რესპოდენტი) უმრავლესობას გააჩნდა უმაღლესი ან სხვა სახის პროფესიულ–ტექნიკური განათლება. მათი დიდი ნაწილი დაუსაქმებელია და უკმაყოფილოა დასაქმების სააგენტოს მუშაობით. მათი უმრავლესობაც სამუშაოს საძებნელად თურქეთის რესპუბლიკაში წასვლას ამჯობინებს. გამოკითხულთა ნაწილის აზრითაც სამუშაოს დაწყება პროტექციის გარეშე შეუძლებელია. ამასთან გამოვლინდა მათი პესიმისტური განწყობილება ქალაქ ბათუმში უმუშევრობის დაძლევაზე იმ დროს, როდესაც დასაქმების სხვადასხვა სფეროში უპირატესობა უცხოელებს ეძლევათ. კვლევის შედეგებზე მზადდება რეკომენდაციები ქალაქ ბათუმში უმუშევრობის დაძლევისა და ქალაქელთა სოციალურ–ეკონომიკური ღონისძიებების გატარებაზე. გამოკითხვის მასალებში აისახა რესპოდენტთა სურვილი ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებასა და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

I.2. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტი (იხ. „I.1“)

I.3. სახელმწიფო გრანტით (რუსთაველის ფონდი) დაფინანსებული სამეცნიერო–კვლევითი პროექტები

№	პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრულებელი
1	სტამბოლის სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა. ჰუმანიტარული და ქართველოლოგიური მეცნიერებები	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	შუშანა ფუტკარაძე	შუშანა ფუტკარაძე როინ მალაყმაძე თამილა ლომთათიძე ნაილა ჩელებაძე ელზა ფუტკარაძე შორენა ფუტკარაძე
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) 2015 წელს გრძელდებოდა 2014 წელს დაწყებული მუშაობა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული იმ დამატებითი მასალების მოძიებაზე, რომლებიც შეეხება ქართული კულტურული მემკვიდრეობისა (წერილობითი წყაროები, ხელნაწერები, მიწერ–მოწერის ბარათები და სხვ.) და საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს. ამ მიზნით ორჯერ მოეწყო სამეცნიერო მივლინება, რომლის დროსაც განხორციელდა ამ მასალების ქსეროასლების, ფოტოასლების გადაღება. ამჟამად მიმდინარეობს ამ მასალების დამუშავება მოძიებული მასალების საფუძველზე მომზადდა რამდენიმე სტატია და მოხსენება (იხ.: წინამდებარე ანგარიშში შესული „სტატიები,“ (რიგითი ნომერი: 68, 79, 80, 84)			
2	სარფი (პროექტის შიფრი FR/339/1-10/13)	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	მალხაზ ჩოხარაძე (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)	ჯემალ ვარშალომიძე ციალა ნარაკიძე ომარ მემიშიში (თანაავტორები)
	დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები			

(ქართულ ენაზე) პროექტის მიხედვით, რომელზეც მუშაობა 2014 წელს დაიწყო, 2015 წლის გეგმით დამუშავდა. ნაოსნობისა და მეთევზეობის (ჯემალ ვარშალომიძე), ფოლკლორისა და ეთნოლინგვისტიკის (ომარ მემიშიში) საკითხები, ზღაპრები, ლექსები, გამოცანები (ციალა ნარაკიძე). საკითხები მოიცავს ორადგაყოფილი სარფის ორივე ნაწილის მასალებს.				
3	ლაზები და ლაზური თურქეთის გამოცემებში	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ჭ. ქირია	ომარ მემიშიში (თანაავტორი)
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები (ქართულ ენაზე) გაანალიზებულია ლაზებისა და ლაზურის შესახებ თურქულ გამოცემებში (მონოგრაფიები, სტატიები, წერილები) შესული მონაცემები.				
4	ლაზურ–მეგრული გრამატიკა. I	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ქეთევან ლორთქიფანიძე	ომარ მემიშიში (თანაავტორი)
დასრულებული პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები დამუშავებულია ლაზურისა და მეგრულის სტრუქტურის ძირითადი საკითხები.				

I.4. გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტები.
(ასეთი პროექტები ინსტიტუტს არ გააჩნია)

II. 1. პუბლიკაციები:

ა) საქართველოში

მონოგრაფიები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის სათაური	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბიჭიკო დიასამიძე	**დამხმარე ისტორიული დისციპლინები**	თბილისი, "უნივერსალი"	112
ანოტაცია ქართულ ენაზე მონოგრაფიაში დახასიათებულია ისტორიის დამხმარე დისციპლინები: წყაროთ-მცოდნეობა, პალეოგრაფია, ქრონოლოგია, ნუმიზმატიკა, მეტროლოგია, ისტორიული გეოგრაფია და ტოპონიმიკა, არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების მეთოდიკა. წიგნის თითოეულ თემას დართული აქვს კითხვარები განხილვისა და დისკუსიისათვის.				
2	უჩა ოქროპირიძე	**„კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი"- (ოქ-როპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტო-რიიდან)**	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი"	18

ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის მოკლე ისტორია. მოტანილია შესაბამისი მასალა დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეულ გუჯარში ოქროპირიძეთა გვარის მოხსენიების შესახებ				
3	ნანი გუგუნავა	ქართველ ემიგრანტთა კულტურული მემკვიდრეობიდან	ბათუმი „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2015	64
ანოტაცია ქართულ ენაზე წიგნში კონკრეტულად განხილულია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ზოგიერთი ნიმუში, გრიგოლ ფერაძის „თეთრი ანგელოსი“, წარმოჩენილია თამარ მეფის სახე ემიგრანტთა ნაზრევში, ასახულია სამშობლოს სევდის ამსახველი ასპექტები მათ შემოქმედებაში.				
4	ციალა ნარაკიძე	ლაზური ტექსტები (ფოლკლორული მასალა)	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	255
ანოტაცია ქართულ ენაზე მონოგრაფიაში წარმოდგენილი ტექსტები ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველ ნაწილში დაბეჭდილია ლექსები, ანდაზები და გამოცანები, მეორეში–ზღაპრები. მასალების უმეტესობა პირველად ქვეყნდება. ყველა ლექსი, გამოცანა და ანდაზა წარმოდგენილია ლათინური ტრანსკრიფციით, რათა ნიმუშები ხელმისაწვდომი გახდეს თურქეთში მცხოვრები ლაზი მოსახლეობისათვის.				
5	ომარ მემიშიში	ლაზური ანდაზები და იდიომები	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	170
ანოტაცია ქართულ ენაზე მონოგრაფიაში ასახულია ლაზური ანდაზები და იდიომატური გამოთქმები ქართული ვარიანტით.				
6	ნანული ნოღაიდელი თამილა ლომთათიძე	ჯემალ ნოღაიდელი. აჭარული კილოს სა-ლექსიკონო მასალები (XX საუკუნის 30–50–	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო	იბეჭდება*

		იანი წლები)	უნივერსიტეტი“	
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში შესულია ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტის ჯემალ ნოღაიდელის მიერ 1920–1930–იან წლებში აჭარაში შეკრებილი სალექსიკონო მასალები, რომლებშიც ასახულია სამეურნეო დარგები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, შრომის იარაღები, ხალხური მედიცინა, გართობა–თამაშობანი, ფლორა და ფაუნა და ა.შ.				

*** შენიშვნა: ყველა ნაშრომი (მონოგრაფია, კრებული, სტატია, რომელსაც მიწერილი აქვს „იბეჭდება“ ან „გადაცემულია დასაბეჭდად“ გამოიცემა 2015 წლის საგამომცემლო გეგმით.**

კრებულები

№	ავტორი/ავტორები	კრებულის სახელწოდება	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ავტორთა კოლექტივი	**„ჩვენი სულიერების ბალავარი“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. VII	თბილისი, “უნივერსალი”	441
ანოტაცია ქართულ ენაზე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული – **„ჩვენი სულიერების ბალავარი, ტ.VII”** – ჩვეულებისამებრ, დაინტერესებულ მკითხველს მრავალფეროვან ინფორმაციას მიაწვდის ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, რელიგიისა და კულტურის, ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის, კულტურათა დიალოგის, სწავლებისა და აღზრდის და სხვა საყურადღებო საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანთა სულიერების ფორმირებაში.				
2	ავტორთა კოლექტივი	**“ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრა-ობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში”** (სელიმ ხიმშიაშვი-ლის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძ-ღვნილი საერთაშო-რის სამეცნიერო კონ-ფერენციის მასალები)	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი”	159
ანოტაცია ქართულ ენაზე კრებულში გადმოცემულია ხიმშიაშვილთა საგვარეულოს მეთაურობით სამხრეთ-				

დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ანტიოსმალური ბრძოლებისა და სელიმისა და მისი შთამომავლების მოღვაწეობის ისტორია. კრებულში, წარმოდგენილია კონფერენციის მონაწილეთა მისალმებები.				
3	ავტორთა კოლექტივი	**„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ტ. VI	თბილისი, “ჯეოპრინტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე კრებულის სტატიებში შესწავლილია როგორც ბათუმის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, არქიტექტურის, ტოპონიმიის, ისე ქალაქის თანამედროვე ყოფის, კულტურის, ტურიზმის, კონფესიური ვითარებისა და დემოგრაფიის საკითხები.				
4	ავტორთა კოლექტივი	ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. XI	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე კრებულში დახასიათებულია სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხიმშიაშვილთა ღვაწლი და ამ საგვარეულოთა ოჯახებიდან გამოსული სახელოვანი ქართველი ქალების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, აჭარა–მაჭახლის სოციალურ–ეკონომიკური ვითარება პირველი მსოფლიო ომის წლებში, ბათუმის ოლქის ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობის საკითხები, გაშუქებულია აჭარისა და სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, ლინგვისტიკის, განათლების და კულტურის, სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა ასპექტები.				
5	ავტორთა კოლექტივი	„აჭარული საუნჯე“, II	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე კრებულში შესულია 1958 წელს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ ზემო აჭარაში ექსპედიციების პერიოდში ჩაწერილი ფოლკლორულ–დიალექტოლოგიური მასალები ზღაპრები, ლეგენდები, ისტორიული და სატრფიალო ხასიათის ლექსები, ტოპონიმები, გამოცანები, ანდაზები., რომლებიც დაცულია ამავე ინსტიტუტის არქივში. კრებულს ერთვის ლექსიკონი.				
6	ავტორთა	„გამონათლევი“, II	ბათუმი, “ბათუმის შოთა	იბეჭდება

	კოლექტივი		რუსთაველის სახელმწიფო უნი-ვერსიტეტი”	

ანოტაცია ქართულ ენაზე

კრებული ეძღვნება სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნის წლისთავს. იგი შვიდი კარისაგან შედგება. პირველ–მეორე კარში შესულია უშუალოდ სელიმ ხიმშიაშვილისა და მისი შთამომავლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი კვლევითი ხასიათის სტატიები . დანარჩენ ხუთ კარში თემატურად წარმოდგენილია პატრიოტულ–ეროვნული ხასიათის მხატვრულ–პუბლიცისტური წერილები, ლიტერატურული ნაწარმოები. მკითხველი აქვე გაეცნობა ემიგრანტული ლიტერატურის შედევრებს, რომელთაგან ზოგი პირველად იბეჭდება საქართველოში. კრებულს ერთვის ილუსტრაციები (ფოტო მასალა).

სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალის/კრებუ-ლის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	ბიჭიკო დიასამიძე	**სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან იწყება,** „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასა-ლები)	VII	თბილისი, “უნივერსალი”	109-115
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წერილობითი წყაროს დამოწმებით და სხვა არგუმენტების მოშველიებით, დასაბუთებულია, რომ სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა XXI საუკუნის დასაწყისიდან, არამედ XVI საუკუნის ბოლოდან მაინც.					
2	ბიჭიკო დიასამიძე	**აჭარიწყლის ხეობა პირველი მსოფლიო ომის წლებში. უსამართლო ბრალდება,** “პირველი მსოფ-ლიო ომი და საქარ-თველო” (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მა-სალები)		ქუთაისი, “აკაკი წერეთლის სა-ხელმწიფო უნი-ვერსიტეტის გამომცემლობა”	84-94
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წერილობითი წყაროების, მემუარული ლიტერატურისა და თვითმხილველთა მონათხრობის დამოწმებით გადმოცემულია პირველი მსოფლიო ომის წლებში აჭარისწყლის ხეობაში ჯერ ოსმალო დამპყრობლების და შემდეგ რუს ჯარისკაცთა მიერ აქაური მოსახლეობის აკლება-აწიოკების შესახებ, დასაბუთებულია ე.წ.					

“აჭარელთა სახელმწიფო ღალატში” ხელოვნურად ბრალდების უსაფუძვლობა.					
3	ბიჭიკო დიასამიძე	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლები-სათვის ბრძოლა XVI-XVIII** “ეროვნულ-განმათა-ვისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქარ-თველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძ-ღვნილი საერთაშო-რის სამეცნიერო კონფერენციის მასა-ლები)		ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	23-36
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში მოკლედ ნაჩვენებია განმათავისუფლებელი ბრძოლის ის ფორმები, რომელსაც იყენებდა ქართველი ხალხი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში.					
4	ბიჭიკო დიასამიძე	**აკაკი წერეთელი და XIX საუკუნის ბოლო მესამედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვ-ლენები აჭარაში,** აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთაბისადმი მიძღვნილი სამეც-ნიერო კონფერენ-ციის მასალები		ქუთაისი, “აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა”	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წერილობითი წყაროების გამოყენებითა და XIX საუკუნის ბოლო მესამედის აჭარაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების, აქ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია აკაკი წერეთლის აქტიური მონაწილეობა ამ მოვლენებში.					
5	ბიჭიკო დიასამიძე	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლები-სათვის მებრძოლნი (სელიმ ხიმშია-**	XI	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად

		შვილი და მისი შთამომავლები), ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები			
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით ნაჩვენებია სელიმ ხიმშიაშვილის, მისი შვილების: ახმედის, აბდის და ქორხუსეინის, აგრეთვე, შვილიშვილების: სელიმ უმცროსის, შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ბრძოლა ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს განთავისუფლებისათვის.					
6	ბიჭიკო დიასამიძე (თანაავტორი როინ მალაყმაძე)	**მთიანი აჭარის სოფელი – პრობლემები და პერსპექტივები,** ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, "ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებული აჭარის მთიანი სოფლის–კვიახიძეების (შუახევის რ–ნი) სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობა. მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ახალგაზრდობისაგან სოფლის დაცლის მიზეზები და ამ პროცესის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულია წინადადება– რეკომენდაციები.					
7	ბიჭიკო დიასამიძე	**მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით,** „ბათუმი – წარ-სული და თანამედ-როვეობა" (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასა-ლები)	VI	თბილისი, "ჯეოპრინტი"	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავტორთა მონაცემების გაანალიზებით გაკეთებულია დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარი მიზეზი ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული მოსახლეობისათვის მიუღებელი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა იყო.					
8	უჩა ოქროპირიძე, (თანაავტორი ზურაბ ოქროპირიძე)	**მღვდელმონაზონ ლეონოდეს მისიონერული საქმიანობა.** „ჩვენი სულიერე-	VII	თბილისი, "უნივერსალი"	236-241

		ბის ბალავარი“ (საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფე-რენციის მასალები)			
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში მოთხრობილია მღვდემონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, საინგილოში, საქართველოს მთიანეთსა და სხვა რეგიონებში.					
9	უჩა ოქროპირიძე	**ეროვნული მორაო-ბის ისტორიიდან საქართველოში 1977-1987 წლებში,** ინტერნეტ-ჟურნალი “ამირანი” (კავკასიო-ლოგიის საერთა-შორისო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე)	№27	მონრეალი-თბილისი, (ინტერნეტ-მისამართი: http://www.caucasology.com/amirani_geo.php?cat=27	156-193
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილი მასალები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გაკეთებულია სათანადო დასკვნები საქართველოში 1977-1987 წლებში მიმდინარე პროცესების შესახებ.					
10	უჩა ოქროპირიძე	**ქართველი მღვდელ-მთავრები და აჭარა,** ჟურნ. “ჭოროხი”	№3	ბათუმი, “გამომცემლობა აჭარის” პოლიგრაფიული ცენტრი	101-104
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში მოთხრობილია ქართველ მღვდელმთავართა მიერ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებისა და შემდეგაც მათ მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ.					
11	უჩა ოქროპირიძე	**ეროვნული მორაო-ბის ისტორიიდან საქართველოში 1977-1987 წლებში,** ჟურნ. “ჭოროხი”	№4	ბათუმი, “გამომცემლობა აჭარის” პოლიგრაფიული ცენტრი	65-90
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის ამსახველი დღემდე შედარებით ნაკლებად ცნობილი მასალები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გაკეთებულია სათანადო დასკვნები საქართველოში 1977-1987 წლებში მიმდინარე პროცესების შესახებ.					
12	უჩა ოქროპირიძე	**ჰორიზონტს იქით სიცოცხლე გრძელ-დება (აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატები),**	№6	ბათუმი, “გამომცემლობა აჭარის” პოლიგრაფიული ცენტრი	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად

		ჟურნ. “ჭოროხი”			
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატია ეძღვნება აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატებს და მინიშნებული თუ ვის და რა დამსახურებისათვის მიენიჭა აღნიშნული პრემია.					
13	უჩა ოქროპირიძე	**ოქროპირიძეთა გვარის ისტორიიდან,** ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში ასახულია ზოგიერთი საინტერესო მომენტი ოქროპირიძეთა გვარის ისტორიიდან.					
14	უჩა ოქროპირიძე	**ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი,** „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, “ჯეოპრინტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში საუბარია ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტის რუსულიდან ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანზე.					
15	ოთარ თურმანიძე	**ხიმშიაშვილები XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში,** “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორის სამეცნიერო კონფერენციის მასალები)		ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	54-65
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების პოლიტიკური საქმიანობა					

XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. შეფასებულია ახმედ, აბდი და ხუსეინ ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაცია და როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნაში.					
16	ოთარ თურმანიძე	**ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია,** „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, გამომც. “ჯეოპრინტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის დაარსებისა და განვითარების ისტორია. გაშუქებულია ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხები.					
17	ოთარ თურმანიძე	**ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორიისათვის.** „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო		თბილისი, “უნივერსალი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში შესწავლილია ბათუმის ოლქის მეჯლისის დაარსებისა და საქმიანობის ისტორია. შეფასებულია მეჯლისის როლი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლასა და აჭარის ავტონომიის შექმნაში.					
18	ოთარ თურმანიძე	**ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი 1935-1940 წლებში,** ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსებისა და განვითარების ისტორია. ნაჩვენებია მისი როლი პედაგოგიური კადრების მომზადებაში.					
19	ოთარ თურმანიძე	**ნიკო ბერძენიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ,** ბსუ-ს ნიკო ბერძე-	XI	ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემულია დასაბეჭდად

		ნიშვილის ინსტიტუტის შრომები			
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაშუქებულია ბერძენიშვილის შეხედულება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ხაზგასმულია მის მიერ განვითარებული დებულებებისა და დასკვნების მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე.					
20	მაია ჭიჭილეიშვილი	**ბრინჯაოს საცეცხლური ქედის მხარეთმცოდნეობის მუზუმიდან,** "ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები" (ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი)	VI	თბილისი, „უნივერსალი"	70-82
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ადრექრისტიანული ხანის ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელი, ჩამოსხმის წესით დამზადებული საცეცხლური, რომელზეც გამოსახულია სახარების 6 სცენა. საცეცხლურის მხატვრული გადაწყვეტა და იკონოგრაფიული თავისებურებები VI-VII საუკუნეების სირია-პალესტინური წარმომავლობის საღვთისმსახურო დანიშნულების ჭურჭელთან იჩენს მსგავსებას. აჭარის მაღალმთიანეთში ბრინჯაოს საცეცხლურის აღმოჩენა საქართველოსა და წმინდა მიწას შორის არსებული რელიგიურ-კულტურულ ურთიერთობების გამოხატულებაა.					
21	მაია ჭიჭილეიშვილი	**ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებზე (ჯამეები),** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	I	თბილისი, „უნივერსალი"	117-125
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ხის ჯამეებში გამოვლენილი ქართული ხალხური ხითხუროობის ნიმუშები, ჯამეების არქიტექტურული თავისებურებანი, რომლებიც ისლამის საკულტო არქიტექტურის კანონიკასა და უძველეს ქართულ სამშენებლო ტრადიციებს ეფუძნება.					
22	მაია ჭიჭილეიშვილი	**ძველი ბათუმის ქუჩები (დ. კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანება),** კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, "ჯეოპრინტი"	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში მიმოხილულია დავით კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანების, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული ურბანული ქსოვილი, არქიტექტურისა და სივრცის თანაფარდობის, საცხოვრებელი სახლების მხატვრული გადაწყვეტის,					

თანამედროვე ურბანული პროცესების საკითხები.					
23	სიმონ გოგიტიძე	**ტერმინების ხაიასას და აცის წარმომავლობა და მათი ურთიერთ-მიმართება,** ჟურნ. "ჭოროხი"	№1	ბათუმი, "გამომცემლობა აჭარის" პოლიგრაფიული ცენტრი	99-105
ანოტაცია ქართულ ენაზე ამ ნაშრომში პირველად განხორციელდა ხეთური ტოპონიმების ლოკალიზაცია და გაირკვა ეთნიკური კუთვნილების საკითხი.					
24	სიმონ გოგიტიძე	**მუჰაჯირობა კირნათის თემის სოფლებში,** ჟურნ. "ჭოროხი"	№2	ბათუმი, გამომცემლობა აჭარის" პოლიგრაფიული ცენტრი	94-99
ანოტაცია ქართულ ენაზე წერილობითი წყაროების, საარქივო მასალისა და ადგილზე შეკრებილი ცნობების მიხედვით დადგინდა, რომ კირნათის სოფლებიდან1877-1879 და 1914 წლებში წასული მუჰაჯირები დასახლდნენ თურქეთის შემდეგ ქალაქებში: ტრაპიზონი, ორდუ, ჩერჩემბე, ეშმა და სხვ. დახასიათებულია ის მძიმე სოციალურ–ეკონომიკური შედეგები, რაც ომიანობამ მოუტანა კირნათის მოსახლეობას.					
25	სიმონ გოგიტიძე	**კირნათის თემის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპრყობლების წინააღმდეგ.** ჟურნ. "ჭოროხი"	№4	ბათუმი, "გამომცემლობა აჭარის" პოლიგრაფიული ცენტრი	91-100
ანოტაცია ქართულ ენაზე როგორც აჭარის მრავალ სოფელში, ისე კირნათის თემის სოფლებშიც მიმდინარეობდა მოძალადეთა წინააღმდეგ აჯანყებები. წერილობითი ცნობებისა და ადგილზე შეგროვილი მასალების მიხედვით ვლინდება, რომ ადგილობრივებს ბრძოლა უხდებოდათ როგორც დამპრყობელთა, ისე ადგილობრივი ყაჩაღების, გოგო-ბიჭების ტაციობაში შემჩნეული პიროვნებების წინააღმდეგ.					
26	სიმონ გოგიტიძე	**სახელწოდება ბათუმის წარმომავ-ლობისათვის,** „ბათუმი – წარ-სული და თანამედ-როვეობა" (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასა-ლები)	VI	თბილისი, "ჯეოპრინტი"	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში წარმოდგნელილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული შეხედულებები ბათუმის ეტიმოლოგიის შესახებ. მოცემულია ბათუმის, როგორც ტოპონიმის წარმომავლობის ახლებური ახსნის ცდა, რომლის მიხედვით ბათუმის სახელწოდება დაკავშირებულია ადამიანის საკუთარ სახელთან ბატა, რომელიც მეგრულში ნაზს ნიშნავს.					
27	ოლეგ	**პონტოელ ბერძენთა**	VII	თბილისი,	422-427

	ჯიბაშვილი	**წიაღში ლაზთა ასიმილაციის საკითხისათვის.** „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)		“უნივერსალი”	
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებისა და დოკუმენტური მასალების საფუძველზე განხილულია ე.წ. “პონტოელ ბერძნების” (მათი რიცხვი დღეს მსოფლიოში სამ მილიონზე მეტია), ლაზურ-ქართული წარმომავლობის საკითხი და საუკუნეების განმავლობაში რეგიონში მიმდინარე არასასურველ ეთნო-რელიგიური პროცესების შედეგად მათი ელინიზაციის პროცესი. დასმულია საკითხი ბერძნებად წოდებულ ლაზ–ქრისტიანთა ეროვნული ცნობიერების აღდგენაზე.					
28	ოლეგ ჯიბაშვილი	**ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში.** “ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში” (სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორის სამეცნიერო კონფერენციის მასალები)		ბათუმი, “ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	71-78
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაშუქებულია სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალთა დიდი წვლილი XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და აჭარის ოსმალთაგან გამოხსნის საშვილიშვილო საქმეში					
29	ოლეგ ჯიბაშვილი (თანაავტორი ისტ. დოქტორი ხათუნა დიასამიძე)	**აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში** „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები)	VI	თბილისი, “ჯეოპრინტი”	გადაცემულია დასაბეჭდად

ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაშუქებულია 1909 წლის 14 იანვარს ბათუმში ჩატარებული აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო, რომელიც იყო დამაგვირგვინებელი ღონისძიება საქართველოში 1908 წლის დეკემბერსა და 1909 წლის იანვარში მიმდინარე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებისა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული დღესასწაულის საოცარი მასშტაბურობა და ნამდვილი სახალხო ხასიათი, გარკვეულწილად, უკავშირდებოდა 1907 წელს ილიას მკვლელობით გამოწვეულ ეროვნული ცნოებიერების გაღრმავებას ქართველ ხალხში. გავლებულია გარკვეული პარალელები აკაკის საიუბილეო დღეებსა და 1956 წლის 9 მარტის მოვლენებს შორის.					
30	ოლეგ ჯიბაშვილი	**ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია ჯავა-ხეთში და ქართულ - სომხური ურთი-ერთობები.** ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაშუქებულია 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილის მიერ ჯავახეთში მოწყობილი სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიციის შედეგები. ნაჩვენებია ექსპედიციის მიერ ჯავახეთში გამოვლენილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აქ გადმოსახლებული სომხების მცდელობას მოეხდინათ მხარის არმენიზაცია და წაეშალათ აქ ქართული კვალი. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა ისტორიისა და კულტურის ძეგლების განადგურებას და ჯავახეთის რეალური ისტორიის დამახინჯებას. მითითებულია, რომ ნ.ბერძენიშვილმა ბევრი ისეთი ფაქტი დააფიქსირა და სამეცნიერო საზოგადოებასაც გააცნო ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებით. ამ ნაბიჯით მკვლევარმა სააშკარაოზე გამოიტანა არსებული პრობლემები და საფუძველი შექმნა მათი აღმოფხვრისათვის.					
31	ირინე ვარ-შალომიძე	**ახალი ნუმიზმატი-კური მასალა ბა-თუმის შემოგარე-ნიდან** „ბათუმი – წარ-სული და თანამედ-როვეობა“ (საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის მასა-ლები)	VI	თბილისი, “ჯეოპრინტი”	გადაცემუ-ლია დასა-ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია ბათუმის შემოგარენში (განთიადი, მახო, გონიო) სხვადასხვა დროს გამოვლენილი ანტიკური, რომაული, ბიზანტიური ხანის ნუმიზმატიკური მასალა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი 2003 წელს ხელვაჩაურის სოფ. კაპანდიბში აღმოჩენილი არაბული მონეტების განძის განხილვას და მნიშვნელობის წარმოჩენას.					
32	ჯემალ ვარშალომიძე ჯემალ მიქელაძე ნუგზარ	სარფი, „სარფი– ეთნოგრაფიული პორტრეტი“, თავი II		ბათუმი, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	44–203

	მგელაძე				
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში შესწავლილია ორად გაყოფილი კომპაქტურად ლაზებით დასახლებული სოფელ სარფის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, სოციალური ურთიერთობის ფორმები.					
33	ჯემალ ვარშალომიძე	პორუჩიკი ნ.მ. შუგუროვი და მისი ნარკვევი. „ნ.მ. შუგუროვი. ხახულის ქართული მონასტერი“ (თარგმანი რუსულიდან)		ბათუმი, „შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი“	315–409
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატია წარმოადგენს ქ. ბათუმში 1918 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ნ. შუგუროვის წიგნის– „ხახულის ქართული მონასტერი“ ქართული თარგმანის შესავალ წერილს, რომელშიც განხილულია ავტორის ვინაობა, მონასტრის მშენებლობისა და მნიშვნელობის საკითხები.					
34	ჯემალ ვარშალომიძე	„სარფის ეთნოგრაფიული პანორამა“ „სამხრეთ–დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“. საერთაშორისო კონფერენციის მასალები	V	თბილისი, „უნივერსალი“	15
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ორად გაყოფილი სოფელ სარფის ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) ყოფის თავისებურებანი, მათი სამეურნეო და კულტურული ტრადიციები, ეთნიკური ცნობიერების საკითხები. სამეურნეო და კულტურული ურთიერთობანი მეზობელ კუთხეებთან, სარფის ტურისტული მნიშვნელობა.					
35	თამილა ლომთათიძე (თანაავტორი ნ. სტამბოლიშვილი)	არქაული საცეკვაო რიტუალების სიმბოლიზმი (აჭარა). სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	V	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი”	379–388
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია აჭარის საცეკვაო ფოლკლორის ნიმუშებში შემონახული ქართველთა სიმბოლური აზროვნების მითოლოგიური, მაგიურ-რელიგიური, კოსმოგონიური ასპექტები. გაანალიზებულია უძველესი საცეკვაო რიტუალების					

საკრალური ელემენტები					
36	თამილა ლომთათიძე	საკრალური ელემენტები ხალხურ გართობა-სანახაო-ბებში. „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები”	VI	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი”	151-155
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში შესწავლილია აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ზოგიერთი ხალხური გართობა-სანახაობის თავდაპირველი საკულტო დანიშნულება, სხვადასხვა დღესასწაულების დროს შესრულებულ გართობა-თამაშობებსა და საწესო ფერხულებში დაცული არქაული ელემენტები, მათი თავდაპირველი რაობა და ფუნქცია. ნაჩვენებია ტრანსფორმაცია, რიტუალების სიმბოლური მნიშვნელობა.					
37	თამილა ლომთათიძე (თანაავტორი დოქტორანტი ქ.ფუტკარაძე)	მოზარდის საზოგადოებაში ინიციაციის ტრადიციები აჭარაში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები“	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შესწავლილია მოზარდის საზოგადოებაში სრულფასოვანი ადაპტაციის პროცესები და რიტუალები, სოციუმის სრულფასოვან წევრად მოზარდის ჩამოყალიბების ტრადიციული მეთოდები, სოციალური ჯგუფის შიგნით განვითარების ახალ საფეხურზე ინდივიდის გადასვლის ჩვეულებები. გაანალიზებულია ბავშვთა ინიციაციის საშუალებები მოზარდის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ბავშვთა აღზრდის რაციონალური, ხალხური წეს-ჩვეულებები და მათი გამოყენების შესაძლებლობები თანამედროვე პირობებში.					
38	თამილა ლომთათიძე (თანაავტორები: შ.ფუტკარაძე რ.მალაყმაძე ე.ფუტკარაძე ნ.ჩელებაზე შ.ფუტკარაძე)	ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმა-ნათლებლო საქმია-ნობა 1897წ. (სტამ-ბულის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით). „ბათუმი. წარსული და თანამედრო-ვეობა”	VI	თბილისი, „ჯეოპრინტი“	გადაცემულია დასა-ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტამბულის ქართველთა სავანეში დაცული 1897 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში” დაბეჭდილი ცნობების საფუძველზე შესწავლილია ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897წ. გაანალიზებულია ბათუმში უფასო სახალხო ბიბლიოთეკის, გიმნაზიის გახსნის, მარიამის დედათა სასწავლებლის ექვსკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთების ღონისძიებები. მოცემულია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (გრიგოლ ვოლსკი, ლუკა ასათიანი) წვლილი აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნებასა და შემდგომ განვითარებაში.					
39	ნოდარ კახიძე	აჭარა-მაჭახელი	XI	ბათუმი, „ბათუმის	გადაცემულია დასა-

		პირველი მსოფლიო ომის წლებში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები		შოთა რუსთა-ველის სახელ-მწიფო უნი-ვერსიტეტი”	ბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ქართული და რუსული პერიოდული პრესის, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ანგარიშების, მოგზაურთა ჩანაწერებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებში დაცული მასალების მიხედვით დახასიათებულია აჭარა–მაჭახლის სოციალურ–ეკონომიკური ვითარება პირველი მსოფლიო ომის წლებში და ქართული საზოგადოებრიობის საქველმოქმედო დახმარება ომით დაზარალებულთათვის სურსათითა და სამრეწველო ნაწარმით. დასაბუთებულია „აჭარელთა სახელმწიფო ღალატში“ ბრალდების უსაფუძვლობა, რაშიც დადებითი როლი შეასრულა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის გაბედულმა პროტესტმა და რუსეთის დუმაში ქართველი დეპუტატების (აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე) მხარდაჭერამ.				
40	ნოდარ კახიძე	საქართველოს შინა-მრეწველობისა და ხე-ლოსნობის ისტორი-ის შემსწავლელი 1935 წლის ექსპედი-ცია საქართველოში და აჭარა მის მასა-ლებში. ნიკო ბერძე-ნიშვილის ინსტიტუ-ტის შრომები	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთა-ველის სახელ-მწიფო უნი-ვერსიტეტი”	გადაცემუ ლია დასაბეჭდ ად
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებულია ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და საერთო ხელმძღვანელობით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მათ შორის აჭარაში 1935 წელს ჩატარებული კომპლექსური ექსპედიციის მასალები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პერიოდისა და ზოგადად საქართველოსა და აჭარის მრავალდარგოვანი შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიის შესწავლაში. სტატია ეძღვნება აღნიშნული ექსპედიციის 80 წლისთავს.					
41	ნოდარ კახიძე	მაჭახლის ხეობა (უძ-ველესი დროიდან 1921 წლამდე) ჟურნა-ლი „ლაკლაკეთი“	4	ბათუმი–„პოლიგრაფი–2010“	13–21
ანოტაცია ქართულ ენაზე ძველი ქართული და ოსმალური წყაროების, ქართველ და უცხოელ მოგზაურ–მკვლევართა ცნობებისა და შესაბამისი პუბლიკაციების მონაცემების საფუძველზე დახასიათებულია მაჭახლის ხეობის უძველესი წარსული 1921 წლამდე. ხეობის ისტორიული როლი და მნიშვნელობა სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს სოციალურ–ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სტატია მომზადდა და იბეჭდება ჟურნალ „ლაკლაკეთის“ რედაქციის დაკვეთით.					
42	ჯემალ მიქელაძე	სოფელ სარფის უძვე-ლესი ეკლესიის აღ-წერილობა. „ჩვენი სულიერების ბალავარი“.	VII	თბილისი, გამომცემლობ ა „უნივერსალი“	209–211
ანოტაცია ქართულ ენაზე					

ეთნოგრაფიული და სხვა მონაცემების საფუძველზე დადგენილია დღემდე ნანგრევების სახით მოღწეული VI საუკუნის ეკლესიის დაგეგმარების კონტურები, მისი კონსტრუქციული აღნაგობა, სამშენებლო მასალების სახეობა და სხვ.					
43	ნაილა ჩელებაძე ნაილე მიქელაძე	ტოპონიმ „ბეთლემის“ გენეზისი აჭარის ფოლკლორში. „ჩვენი სულიერების ბალავარი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები.	VII	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	202–208
ანოტაცია ქართულ ენაზე შესწავლილია ქედის რაიონში არსებული ტყისა და ქედის სახელწოდების აღმნიშვნელი ტოპონიმის–ბეთლემის წარმოშობის ისტორია და ახსნილია მისი რელიგიური საფუძვლები.					
44	ნაილა ჩელებაძე შუშანა ფუტკარაძე როინ მალაყმაძე ელზა ფუტკარაძე თამილა ლომთათიძე შორენა ფუტკარაძე	ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს. (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით). VI „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	VI	თბილისი, „ჯეოპრინტი“	გადაცემულია დასაბეჭდად
45	ნაილა ჩელებაძე	მასალები ხინოს ტოპოგრაფიული რუკისათვის (ისტორიულ–ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის შრომები	XII	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში შესწავლილია და დაზუსტებულია კინტრიშის–ისტორიული ხინოს ხეობის ტერიტორიული საზღვრები და ტოპონიმები, ისტორიისა და კულტურის ძეგლები. მასალები განკუთვნილია ხინოს ხეობის ტოპოგრაფიული რუკისა და გზამკვლევის შესადგენად, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ტურისტულ მომსახურებას.					
46	ნუგზარ ჩხაიძე კოტე ღლონტი	ბათუმის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები	1	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნი-	53–63

		(სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით „ფილოსოფიის საკითხები“		ვერსიტეტი”	
ანოტაცია ქართულ ენაზე კვლევის შედეგად შესწავლილია ადგილობრივ და უცხოელ ტურისტთა დამოკიდებულება ქალაქ ბათუმში დასვენების პირობებთან დაკავშირებით და გამოხატულია მათი უკმაყოფილება სასტუმროებსა და კვების ობიექტებში მომსახურების დაბალი დონით. დადგენილია, რომ დამსვენებელთა უმრავლესობას შეადგენენ ახალგაზრდები და საშუალო ასაკის პირები (81,8%), რომელთა 13%–ზე მეტი ბინავდება ახლადაშენებულ, 11%–ზე მეტი საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ნაწილიც ნათესავ–მეგობრებთან. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ბათუმს გააჩნია მძლავრი ტურისტული პოტენციალი, რომლის სრული და გონივრული გამოყენება დადებითად აისახება ქალაქის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.					
47	ნარგიზ ახვლედიანი	ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის, „ქართველური ონომასტიკა“	VII	თბილისი გამომცემლობა „უნივერსალი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია ტოპონიმ „ფერია“–ს ეტიმოლოგია და მასთან დაკავშირებული გადმოცემები.					
48	ნარგიზ ახვლედიანი შუშანა ფუტკარაძე ციალა ნარაკიძე შორენა ფუტკარაძე	სტუმრად სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში. „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებულია ავტორთა მიერ 2014 წელს (ნოემბერი–დეკემბერი) სტამბოლის ქართულ სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში მოძიებული მასალები. ყურადღება გამახვილებულია აკაკი წერეთლის იმ გამოსვლებზე, რომელიც დაბეჭდილია სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ გაზეთ „ივერიაში“ (1897 წელი).					
49	ნარგიზ ახვლედიანი	ზოგი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის მახინჯაურში, კრებული „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებულია ადგილთა სახელები „მწვანე კონცხი“ და „განთიადი“ და დადგენილია მათი ადრინდელი სახელწოდებები.					
50	ნარგიზ ახვლედიანი	რაჭული „ქვე“–სა და ზანური „ქო“–ს	XI	ბათუმი, „ბათუმის	იბეჭდება

		ურთიერთმიმართების ათვის. შოთა რუსთა-ველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინს-ტიტუტის შრომები		შოთა რუსთა-ველის სახელ-მწიფო უნი-ვერსიტეტი”	
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია „ქვე“ და „ქო“ ნაწილაკების ფუნქცია დიალექტებში და მათი ურთიერთმიმართების საკითხი.					
51	ნანი გუგუნავა	პატრიარქის პედაგოგიური შეხედულებები ჟურნალი „ჭოროხი“	6	ბათუმი, ს.ს. „გამომცემ-ლობა აჭარის“ პოლიგრაფიუ ლი ცენტრი	85–89
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II–ის შეხედულებები ქრისტიანული პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემებზე, კერძოდ, ოჯახის, სკოლისა და სოციალური გარემოს როლზე მოზარდის ფორმირებაში. მოცემულია აღზრდის ამ სამი გარემოს ახლებური გააზრების ცდა.					
52	ნანი გუგუნავა	თეთრი ანგელოსი. ჟურნალი „ჭოროხი“	1	ბათუმი, ს.ს. „გამომცემ-ლობა აჭარის“ პოლიგრაფიუ–ლი ცენტრი	52–57
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში გაშუქებულია გრიგოლ ფერაძის–ქართველი წმინდანის, პროფესორის, თეოლოგის, მართლმადიდებლის, გამოჩენილი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.					
53	ნანი გუგუნავა	ჩემი დედა. ჟურნალი „ჭოროხი“	3	ბათუმი, ს.ს. „გამომცემ-ლობა აჭარის“ პოლიგრაფიუ–ლი ცენტრი	107–108
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში „ჩემი დედის“ მაგალითზე დახასიათებულია ქართველი დედის ფენომენი შვილების ღვთაებრივი აღზრდის საქმეში და იგი შეფასებულია, როგორც თვით უფლის მიერ დაკანონებული მოვალეობა. ავტორი ქართველი დედის ამ დამსახურების ჭრილში განიხილავს მისდამი „ქართველი დედის“ ძეგლის დადგმას თბილისში.					
54	ნანი გუგუნავა	განათლების ისტორიის საკითხები აჭარაში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთა-ველის სახელ-მწიფო უნი-ვერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია განათლების ისტორიის საკითხები აჭარაში ოსმალთა დაპყრობის შემდგომ პერიოდში, როდესაც იდევნებოდა ქართული ენა და ქართული ტრადიციები.					

<table>
<tr><td colspan="6">ნაშრომში მოცემულია აჭარაში მცხოვრები ღირსეული ერისკაცების ნაყოფიერი მოღვაწეობის ამსახველი მასალები ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის დაწინაურებისათვის.</td></tr>
<tr><td>55</td><td>შოთა ზოიძე</td><td>ლტოლვილი ჩონგური.
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები</td><td>XI</td><td>ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია ქართულ ენაზე
სტატიაში განხილულია ემიგრაციაში მცხოვრები ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა გამოცემებში, მოცემულია მათი შემოქმედების თემატიკური და მხატვრული ოსტატობის ანალიზი.</td></tr>
<tr><td>56</td><td>შოთა ზოიძე</td><td>სიმონ ბერეჟიანის „პაემანი მთაწმინდაზე“. ჟურნალი „განთიადი“</td><td>5–6</td><td>ქ. ქუთაისი</td><td>173–175</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია ქართულ ენაზე
სტატიაში გაანალიზებულია 1921 წლის ცნობილი მოვლენების გამო ემიგრაციაში მყოფი სიმონ ბერეჟიანის ლექსები, მათ შორის პაემანი მთაწმინდაზე, რომლებიც იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ ჟურნალებში და მხატვრულ ფერებში ასახავდა აღნიშნულ მოვლენებს.</td></tr>
<tr><td>57</td><td>შოთა ზოიძე</td><td>აკაკი წერეთელი აჭარაში.
„ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“.</td><td>VI</td><td>თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“</td><td>იბეჭდება</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია ქართულ ენაზე
სტატიაში საუბარია აკაკი წერეთლის ბათუმში სტუმრობაზე 1894 წელს და მის გამოძახილზე იმდროინდელ ქართულ პრესაში, მასთან და მისდამი მოწყობილ შეხვედრებზე.</td></tr>
<tr><td>58</td><td>როინ მალაყმაძე, ნაილე მიქელაძე</td><td>ხართან დაკავშირებული ზოგიერთი თქმულება-გადმოცემა, „განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“.
მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები</td><td>VII</td><td>გორი, გამომცემლობა გორის უნივერსიტეტი</td><td>523-525</td></tr>
<tr><td colspan="6">ანოტაცია ქართულ ენაზე
ნაშრომში განხილულია აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ხარის კულტთან დაკავშირებული ტოპონიმ „ხარი-ჴათაღი,”რომელიც ხალხურ თუ ბიბლიურ ისტორიასთან ასოცირდება და წმინდა (წყლის) ხარისა და ჩვეულებრივი ხარის საასპარეზო ადგილსა და ისტორიაზე მიუთითებს. მას პარალელები ეძებნება თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებაში.</td></tr>
</table>

59	ნაილე მიქელაძე	წმინდა ადგილებთან დაკავშირებული თქმულებები, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ზეპირსი-ტყვიერებაში. „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, გამომცემლობა-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაშიი საუბარია აჭარის ფოლკლორში შემონახული თქმულებებზე, რომლებშიც წმინდა ადგილებთან დაკავშირებულ სასწაულებზე მოგვითხრობენ.					
60	ნაილე მიქელაძე ნაილა ჩელებაძე	ტოპონიმ „ბეთლემის“ გენეზისი აჭარის ფოლკლორში. „ჩვენი სულიერების ბალავა-რი“.საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფერენ-ციის მასალები.	VII	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“	202–208
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში არსებული რელიგიური წარმომავლობის ტოპონიმები, რომლებიც დამახასიათებელია არა მარტო ქართული, არამედ ზოგიერთი სხვა ქვეყნის გეოგრაფიული სინამდვილისათვის.					
61	ნაილე მიქელაძე	რეპრესირებულ ოჯახ-თა ისტორია. საერთა-შორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“-მასალები	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში წარმოდგენილია აჭარაში მცხოვრებიორი გვარის (ზოიძეები, ქართველიშვილები) წარმომადგენელთა ისტორია, რომლებმაც გასული საუკუნის 30–40–იან წლებში განიცადეს რეპრესია და რეაბილიტაციის შემდეგ დაბრუნდნენ სამშობლოში.					
62	ნაილე მიქელაძე	„თეთროსნის” ეტი-მოლოგია ქართულ ფოლკლორში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავ-რობის დაწესებულე-ბა-საარქივო სამმარ-თველოს ჟურნალი „არხეიონი“	IX	თბილისი	22-25.
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში საუბარია ქობულეთში არსებული წმინდა გიორგის სახელზე აგებული უძველესი					

საკულტო ცენტრის "თეთროსნის" ეტიმოლოგიასა და მის მნიშვნელობაზე.					
63	ომარ მემიშიში	მოდალური სინტაქ-სური კონსტრუქციე-ბი ლაზურში ნიკო ბერძენიშვილის ინს-ტიტუტის შრომები	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წარმოდგენილია თხრობითი, ბრძანებითი და პირობითი წინადადებების სტრუქტურა ლაზური კილოკავების მიხედვით.					
64	ციალა ნარაკიძე	ადამიანთა გვარსახე-ლები ლაზურში. „ნიკო ბერძენიშვი-ლის ინსტიტუტის შრომები"	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში მიმოხილულია ადამიანთა შტო–გვარის აღმნიშვნელი ზანური წარმომავლობის სახელები სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით.					
65	ციალა ნარაკიძე	ხალხური საოჯახო საყოფაცხოვრებო პოეზია. სამხრეთ–დასავლეთ საქართველო (ისტო-რია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერ-თაშორისო სამეცნიე-რო კონფერენციის მასალები"		თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებულია ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახული საყოფაცხოვრებო პოეზიის ის საინტერესო ნაკადი, რომელთა ნაწილი ტრადიციული ქართული საყოფაცხოვრებო ლირიკის ვარიანტია, ნაწილი კი უშუალოდ ლოკალშია შექმნილი და სრულყოფილად წარმოაჩენს ლაზთა ხასიათს, ზნე–ჩვეულებებს, ტრადიციულ ჯანსაღ იუმორს.					
66	ციალა ნარაკიძე	ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი ჩვენებურების ქარ-თულში. „35–ე რეს-პუბლიკური დიალექ-ტოლოგიური სამეც-ნიერო სესიის მასა-ლები"	XXXV	თბილისი, გამომცემლობ ა „თბილისის ივანე ჯავახი-შვილის სახე-ლმწიფო უნი-ვერსიტეტი"	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში საუბარია იმ ზანიზმებზე, რომლებიც განსაკუთრებით კარგადაა ასახული ჩვენებურთა ლექსიკასა და ტოპონიმებში.					
67	ციალა ნარაკიძე შუშანა ფუტკარაძე	სტუმრად სტამბულის ქართული კულ-ტურის სავანეში. „ბა-თუმი–წარსული და	VI	თბილისი, გამომცემლობ ა „ჯეოპრინტი"	იბეჭდება

	ნარგიზ ახვლედიანი შორენა ფუტკარაძე	თანამედროვეობა“			
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია სტამბოლის ქართული კულტურის სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ „პერიოდიკაში“ ჩვენს მიერ მიკვლეულ 1897 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატია „წერილი ბათუმიდან“, რომელიც აკაკი წერეთლის სტუმრობას შეეხება.					
68	ნანული ნოღაიდელი	ბერძნული ლექსიკა აჭარულ დიალექტში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	V	თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი”	389–394
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია ბერძნულ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად აჭარულ დიალექტში დამკვიდრებული ბერძნულენოვანი ნიმუშები (დანტლევა, თემბელი, კონდო, ფერიზი, ღრამი და სხვ.).					
69	ნანული ნოღაიდელი	სათუთა და დედიფერა (რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკა ზემო აჭარაში) „გამონათლევი” (სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებული)	II	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ზემო აჭარის მკვიდრთა ტრადიციულ დამოკიდებულებაზე მეწველი საქონლის მიმართ და იმ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რომლებიც დაკავშირებულია რძესა და რძის ნაწარმის დამზადებასთან.					
70	ნანული ნოღაიდელი	ლექსიკონი „აჭარული საუნჯე”	II	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ლექსიკონი მომზადებულია „აჭარულ საუნჯეში“ შესული მასალების მიხედვით					
71	ნანული ნოღაიდელი	ქორწინებისა და ნათესაობის სისტემის ეთნოლინგვისტური ასპექტები აჭარულში”.ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები“	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”	იბეჭდება

ანოტაცია ქართულ ენაზე ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით შესწავლილია აჭარაში საქორწინო წეს-ჩვეულებებ-სა და ნათესაობის სისტემასთან დაკავშირებული ლექსიკა და მის საფუძველზე მოცემულია კუთხისათვის დამახასიათებელი ბევრი ტერმინისა თუ გამონათქვამის (კარდასამყრელო, ნატამალი, სასელა, სინსილა, დავლზე ქამრის გაწყვეტა, სადაო ქალი და სხვ.) ანალიზი.					
72	ნანული ნოდაიდელი	რამდენიმე არქაული ტერმინისათვის აჭა-რულში. XXXV რეს-პუბლიკური დიალექ-ტოლოგიური სამეც-ნიერო სესიის თეზი-სები და მასალები.	-	ბათუმი, გამომცემლობა „ბათუმის შო-თა რუსთავე-ლის სახელმ-წიფო უნივერ-სიტეტი”	42-43
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წარმოჩენილია აჭარულ დიალექტში შემონახული არქაული ეპოქის კუთვნილი ტერმინები, საერთო ქართველური და ზანური სუბსტრატის ნიმუშები.					
73	შუშანა ფუტკარაძე	ხახულის ტაძარი ისტორიულ წყაროებ-სა და ლეგენდებში. „ჩვენი სულიერების ბალავარი“. საერთაშორისო სა-მეცნიერო კონფე-რენციის მასალები	VII	თბილისი „უნივერსალი“	323–331
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში დახასიათებულია სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ერთ–ერთი უძველესი ქრისტიანული სალოცავის–ტაოს ტაძრის შესახებ არსებული თქმულება–გადმოცემებში დაცული ცნობები და მათი მნიშვნელობა სატაძრო მშენებლობის ისტორიაში.					
74	შუშანა ფუტკარაძე	სახელოვანი ქართვე-ლი ქალები ხიმშიაშ-ვილთა ოჯახებიდან ეროვნულ-განმათავი-სუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში (სე-ლიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწი-რვიდან 200 წლისთა-ვისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამე-ცნიერო კონფერენ-ციის მასალები“	–	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთა-ველის სახელ-მწიფო უნივერ-სიტეტი”	89–115
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში წარმოდგენილია სახელოვანი ქართველი მანდილოსნის დუდი ხანუმ ბეჟანიძის დამსახურება, მისი დიპლომატიური ნიჭისა და მისაბაძი მამულიშვილური საქმიანობა. ყურადღება გამახვილებულია ჯემალ ხიმშიაშვილის ქალიშვილის–ფიქრიე ხიმშიაშვილის					

ბიოგრაფიის ტრაგიკულ ეპიზოდებზე, სტამბოლში მოღვაწე მელაათ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიის საინტერესო მომენტებზე.					
75	შუშანა ფუტკარაძე	მართა იერუსალიმელის წერილის ენისათვის „რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები“	XXXV	თბილისი. თსუ გამომცემლობის სტამბა	66–67
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მოღვაწე მონაზონ მართას ვინაობა და მის მიერ საქართველოში 1656 წელს გამოგზავნილი წერილის შინაარსი, წერილის ენობრივი ქსოვილი.					
76	შუშანა ფუტკარაძე	წმ. დედა–მარიამი ხახულელი მუსლიმანი ქართველების ხსოვნაში (ნ. შუგუროვი „ქართული ხახულის მონასტერი. თარგმანი რუსულიდან)	–	ბათუმი, გამომცემლობა „აჭარა“	69–83
ანოტაცია ქართულ ენაზე შესწავლილია იმიერტაოს სოფელ ხახულში მდებარე წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია–მონასტრის მნიშვნელობა, ისტორიული საქართველოს ამ რეგიონში მცხოვრები ქართველობის სულიერების ამაღლება, მათი კულტურისა და განათლების საქმეში. სტატიაში ნათქვამია, რომ ხალხმა ეს სალოცავი ისე შეიყვარა, რომ მასზე შექმნა ლეგენდები და მუსლიმანი ქართველები დღესაც ლოცულობენ ამ ტაძარში, თაყვანს სცემენ დედა–მარიამს და მისი ხატი მიაჩნიათ სასწაულმოქმედად.					
77	შუშანა ფუტკარაძე	ბათუმის სახე რუსი მოგზაურების დღიურებში „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე განხილულია რუსი მწერლისა და მოგზაურის ევგენი მარკოვის დღიურებსა და ნარკვევებში გაცოცხლებული ძველი ბათუმის ბუნების, ყოფაცხოვრების, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის ამსახველი ეპიზოდები.					
78	შუშანა ფუტკარაძე როინ მალაყმაძე ნაილა ჩელებაძე ელზა ფუტკარაძე თამილა ლომთათიძე შორენა ფუტკარაძე	ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა 1898 წელს სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით. „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება

ანოტაცია ქართულ ენაზე სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული 1897 წლით დათარიღებული მასალების მიხედვით დახასიათებულია ბათუმის კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობის ეპიზოდები, საუბარია ვაჟთა გიმნაზიის შესახებ, რომელშიც დღეს განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი კორპუსი.					
79	შუშანა ფუტკარაძე ციალა ნარაკიძე ნარგიზ ახვლედიანი შორენა ფუტკარაძე	ექსპედიცია სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში. „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში საუბარია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ 2014 წლის სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში მივლინებული ექსპედიციის საქმიანობაზე, რომელმაც გამოავლინა სავანის აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული კულტურული მემკვიდრეობა შემდგომი შესწავლის მიზნით.					
80	ელზა ფუტკარაძე	ზოგიერთი ლექსიკური ერთეული ამიერტაოს მეტყველებიდან, „განათლება,ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“ მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები	VII	გორი, გამომცემლობა გორის უნივერსიტეტი“	586-589
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში საუბარია ამიერტაოს მეტყველებაში დაცულ ლექსიკურ თავისებურებაზე, ძველი არქაული ლექსიკური ფორმების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაზე, საინტერესო სიტყვა-მიგების ფორმებზე.					
82	ელზა ფუტკარაძე	აღწერითი ვნებითის ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, „ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები“	XI	ბათუმი, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია აღწერითი ვნებითის ფორმების გავრცელების შემთხვევები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. შესწავლილია ორგანული და აღწერითი ვნებითის ფორმების მონაცვლეობა და ამ მონაცვლეობის კანონზომიერება ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძეგლებში. დადგინდა აღწერითი ვნებითის გამოყენების ტენდენცია პრესის ენაში მაშინ, როცა ენას აქვს საშუალება მათი ორგანული წარმოებით შენაცვლებისა. ავტორის აზრით უპირატესობა უნდა მიენიჭოს ორგანული წარმოების ფორმებს და ენის შესაძლებლობებიდან გამომდინარე შეიზღუდოს აღწერითი ვნებითის ფორმათა გამოყენება.					
82	ელზა ფუტკარაძე	მუჰაჯირობის თემა მამია ვარშანიძის პოეზიაში, -„ჩვენი	VII	თბილისი, გამომცემლობა-„უნივერსალი“	319-322

		სულიერების ბალა-ვარი“ -საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენციის მასალები			
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში განხილულია მამია ვარშანიძის მიერ მუჰაჯირობის თემაზე შექმნილი ლექსები და მისი მნიშვნელობა მუჰაჯირობის ისტორიის შესწავლაში.					
83	**ელზა ფუტკარაძე**, შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, თ ამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე	ბათუმის თვითმმარ-თველობის კულტუ-რულ-საგანმანათლებ-ლო საქმიანობა 1897 წ. (სტამბულის ქართველ-თა სავანეში დაცული მასალების მიხედვით), „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“ VI საერთაშორისო სამეც-ნიერო კონფერენციის მასალები	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული პრესის მასალების მიხედვით სტატიაში განხილულია კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა ბათუმში XIX საუკუნის ბოლოს..					
84	ელზა ფუტკარაძე	ლექსიკური ერთეულე-ბი ქვაბაგის ხევის მეტ-ყველებიდან, XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენ-ციის თეზისები და მასალები	-	თბილისი, გამომცემლობა-„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“	63
ანოტაცია ქართულ ენაზე ნაშრომში დახასიათებულია ქვაბაგის ხევის (ამიერტაო)მეტყველებაში დაცული ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება, გაანალიზებულია ერთის მხრივ, ქვაბაგელთა მეტყველებაში დაცული არქაული ლექსიკური ერთეულები და მეორეს მხრივ, ახლად გაჩენილი სიტყვა-თქმები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც მათ მეტყველებაში მეტნაკლებად განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვითაა დაცული. აღნიშნული შინაარსით ეს ლექსიკური ერთეულები ნაკლებად ,ან საერთოდ არაა დაცული ენის სხვა დიალექტებში. ასევე, გამოვლენილია სახასიათო, სპეციფიკური ლექსიკური დიალექტიზმებიც.					
85	შორენა ფუტკარაძე შუშანა ფუტკარაძე ციალა ნარაკიძე ნარგიზ ახვლედიანი	ექსპედიცია სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში. „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	VI	თბილისი. გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	იბეჭდება
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან არსებულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული პრესის მასალები, რომლებშიც მოთხრობილია დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ბათუმში სტუმრობის ეპიზოდებზე.					

86	შორენა ფუტკარაძე	სოფელ ქართლას (ბორჩხის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა) მეტყველების თავისებურებანი რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები	XXXV	თბილისი, თსუ გამომცემლობის სტამბა	63–66
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სოფელ ქართლას მცხოვრებთა მეტყველების ფონეტიკურ–გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, ტოპონიმია, გამოვლენილია არქაული და დიალექტოლოგიური გრამატიკულ–ლექსიკური ფორმები.					

87	შორენა ფუტკარაძე შუშანა ფუტკარაძე როინ მალაყმაძე ნაილა ჩელებაძე ელზა ფუტკარაძე თამილა ლომთათიძე	ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით	VI	თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“	
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში დახასიათებულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში დაცული პრესის მასალები 1897 წლის ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.					

II.2. პუბლიკაციები

ბ) უცხოეთში

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ჟურნალი/კრებულის დასახელება	ჟურნალის/ კრებულის ნომერი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
88	ნინო ინაიშვილი	Archaeological sites in environment of Batumi (არქეოლოგიური ძეგლები ბათუმის შემოგარენში). საერთაშორისო კონფერენციის მასალები		სტამბული, თურქეთი	გადაცემულია დასაბეჭდად
ანოტაცია ქართულ ენაზე					

ნაშრომში განხილულია სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთავარი არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიურმა შესწავლამ გამოვლინა, რომ შავი ზღვის სამხრეთ–აღმოსავლეთ სანაპირო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრე ბრინჯაოს ხანიდან. ყველა ნამოსახლარი მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან, რომელიც ნავსადგურებად გამოიყენებოდა. ბერძნული კოლონიების გაჩენა აბ ძვ.წ. მე–6 საუკუნიდან დასტურდება. ქობულეთ–ფიჭვნარი იყო ყველაზე განვითარებული ურბანული სამოსახლო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე გონიო–აფსაროსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რომაულ ხანაში, ხოლო პეტრა–ციხისძირმა ბიზანტიურ პერიოდში. სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურმა გეოგრაფიამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის, რომ სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და ამდენად, ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში იყო მოქცეული.

III.1.სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

ა) საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ბიჭიკო დიასამიძე	**მუჰაჯირობა აჭარაში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის წერილების მიხედვით** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"მუჰაჯირობა"**	29 იანვარი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული თვალსაზრისი საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავტორთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარ მიზეზს ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდა.			
2	ბიჭიკო დიასამიძე	**სხალთის ეპარქიის ისტორია XVI-XVII საუკუნეებიდან იწყება** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ჩვენი სულიერების ბალავარი" – VII**	17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წერილობითი წყაროს დამოწმებით და სხვა არგუმენტების მოშველიებით გაკეთებულია დასკვნა, რომ სხალთის ეპარქიის ისტორია იწყება არა XXI საუკუნის დასაწყისიდან, არამედ XVI საუკუნის ბოლოდან მაინც.			
3	ბიჭიკო დიასამიძე	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლა XVI-XVIII საუკუნეებში**	19 ივნისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-

		სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **“ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში”**	სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოკლედ ნაჩვენებია განმათავისუფლებელი ბრძოლის ის ფორმები, რომელსაც იყენებდა ქართველი ხალხი ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVI-XVIII საუკუნეებში.			
4	ბიჭიკო დიასამიძე	**მუჰაჯირობა ბათუმ-ქობულეთის მხარეში სერგეი მესხისა და ალექსანდრე ფრენკელის მიხედვით** საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ თვალსაზრისზე საერთოდ მუჰაჯირობის, როგორც მოვლენის, მიზეზების შესახებ, ამასთან, თვითმხილველ ავტორთა მონაცემების გაანალიზების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ აჭარაში მუჰაჯირობის მთავარი მიზეზს ოსმალეთისა და რუსეთის სახელმწიფოთა მხრივ გატარებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენდა.			
5	ბიჭიკო დიასამიძე	**ნიკო ბერძენიშვილი ადრეფეოდალური დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შესახებ** ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია	19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგენილი იყო ნიკო ბერძენიშვილის თვალსაზრისი და შეფასებები ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის წარმოშობისა და სტატუსის შესახებ.			
6	ბიჭიკო დიასამიძე	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლნი** საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამოწმებით ნაჩვენებია სელიმ ხიმშიაშვილის, მისი შვილების: ახმედის, აბდის და ქორხუსეინის, აგრეთვე, შვილიშვილების: სელიმ უმცროსის, შერიფ და ნური ხიმშიაშვილების ბრძოლა ოსმალთაგან სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს განთავისუფლებისათვის.			
7	ბიჭიკო დიასამიძე	**სელიმ ხიმშიაშვილის ხანა** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80	9 ივლისი, თბილისი, საქართველოს პარლა-მენტის ეროვნული ბიბ-

		წლისთავისა და სელიმ ხიმშიაშვილის გარდაცვალებიდან 200 წლისთავი-სადმი მიძღვნილი ღონისძიება	ლიოთეკა
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგენილია XVIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის პირველი ათწლეულების სოციალურ-პოლიტიკური ვითარება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და სელიმის ბრძოლა ამ მხარის ოსმალთაგან გათავისუფლებისათვის.			
8	ბიჭიკო დიასამიძე	**აკაკი წერეთელი და XIX საუკუნის ბოლო მესამედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები აჭარაში.** აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლისთავისად-მი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია	22-23 სექტემბერი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წერილობითი წყაროების გამოყენებითა და XIX საუკუნის ბოლო მესამედის აჭარაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების, აქ გატარებული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გაანალიზების საფუძველზე ნაჩვენებია აკაკი წერეთლის აქტიური მონაწილეობა მათში.			
9	უჩა ოქროპირიძე (თანამომხსენ. ზურაბ ოქროპირი-ძე)	**მღვდელმონაზონ ლეონიდეს მოსიონერული საქმიანობა** საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენცია **„ჩვენი სულიერების ბალავარი" – VII**	17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოთხრობილია მღვდემონაზონ ლეონიდეს მისიონერული საქმიანობის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში, საინგილოში, საქართველოს მთიანეთში, სხვა რეგიონებში.			
10	უჩა ოქროპირიძე	**"კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი" (ოროპირიძეთა გვარის წარმოშობის ისტორიიდან)** საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოცემულია ოქროპირიძეთა გვარის წარმოშობის მოკლე ისტორია და ამ გვარის მომხსენებელი, დავით აღმაშენებლისეულად მიჩნეული, გუჯარის ნამდვილობის დამტკიცების ცდა.			
11	უჩა ოქროპირიძე	**ქართველი მღვდელმთავრები და აჭარა**	5 ივნისი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ქართველ მღვდელმთავართა მიერ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებისა და შემდეგაც მის მიმართ გამოჩენილი დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ.			
12	უჩა ოქროპირიძე	**ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის

		საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ქალაქ ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტის სრული თარგმანი რუსულიდან ქართულ ენაზე.			
13	უჩა ოქროპირიძე	**საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში**	11-12 დეკემბერი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში კრტიკულად არის განხილული საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ახლო წარსულთან დაკავშირებული ზოგიერთი თანამედროვე თურქი ავტორის არასწორი და მიუღებელი დებულებანი. გამოთქმულია მოსაზრება საქართველო-თურქეთის მომავალი მეგობრული ურთიერთსასარგებლო დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად, ამ ურთიერთობათა ნამდვილი ისტორიის შექმნის აუცილებლობის სასარგებლოდ.			
14	ოთარ თურმანიძე	**ხიმშიაშვილები XIX საუკუნის პირველი ნახევრის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში** სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში"**	19 ივნისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სელიმ ხიმშიაშვილის მემკვიდრეების პოლიტიკური საქმიანობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ დასავლეთ სქართველოში. შეფასებულია აბდი, ახმედ და ხუსეინ ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაცია და მათი როლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალთა ბატონობისაგან გამოხსნაში.			
15	ოთარ თურმანიძე	**ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის ისტორია** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ბათუმის საყოფაცხოვლებო მანქანასაშენი ქარხნის ისტორია, ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა.			
16	ოთარ თურმანიძე	**ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორიისათვის** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)"**	სექტემბერი; ბათუმი, აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო

ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გაშუქებულია ბათუმის ოლქის მეჯლისის დაარსებისა და საქმიანობის ისტორია. შეფასდა მეჯლისის როლი უცხოელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლაში და აჭარის ავტონომიის შექმნაში.			
17	ოთარ თურმანიძე	**ნიკო ბერძენშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ** ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია	19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ნიკო ბერძენშვილის შეხედულებაზე რუსეთ-საქართველოს ურთერთბის შესახებ. ხაზგასმულია მისი დებულებებისა და დასკვნების მნიშვნელობის შესახებ თანამედროვე ეტაპზე.			
18	ოთარ თურმანიძე	**სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ** ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	14 მაისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია მეორე მსოფლიო ომის შედეგად საქართველო შექმნილი საერთო მდგომარეობა, ქართველი მეცნიერების ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის.			
19	ოთარ თურმანიძე	**მამია დუმბაძე დიმიტრი ბაქრაძის შესახებ** საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნი-ერო კონფერენცია	28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტო-რიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია მამია დუმბაძის შეხედულება დიმიტრი ბაქრაძის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია სახრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებზე.			
20	მაია ჭიჭილეიშვილი	**ძველი ბათუმის ქუჩები (დ. კლდიაშვილის ქუჩის განა-შენიანება)** საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მიმოხილულია დ. კლდიაშვილის ქუჩის განაშენიანების კულტურულ მემკვიდრეობა, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განვითარებული ურბანული ქსოვილი, საცხოვრებელი სახლების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებები, ძველი და თანამედროვე ქალაქის ურბანული პროცესები.			
21	მაია ჭიჭილეიშვილი	**ქართული ხითხუროობის ტრადიციები აჭარის საკულტო ძეგლებში (ჯამეები)** საერთაშორისო სამეცნიერო კონფე-რენცია **"კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა"**	14-15 ნოემბერი, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია აჭარის ხის მეჩეთებში ასახული ქართული ხალხური ხითხუროობის ტრადიციები, ექსტერიერისა და ინტერიერის არქიტექტურული თავისებურებანი. წარმოჩენილია სამომავლო კვლევის ამოცანები.			
22	სიმონ გოგიტიძე	**სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგნელილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული ყველა შეხედულება ბათუმის ეტიმოლოგიის შესახებ. მოცემულია ტოპონიმის წარმომავლობის ახლებური გააზრების ცდა, რომლის მიხედვით ბათუმის სახელწოდება დაკავშირებულია ადამიანის საკუთარ სახელთან **ბატა**, რომელიც მეგრულში **ნაზს** ნიშნავს.			
23	სიმონ გოგიტიძე	**ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნიკო ბერძენიშვილის შრომებში** ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გაშუქებულია მეცნიერის ღვაწლი ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევაში და ის ამოცანები, რასაც იგი სახავდა მეცნიერების ამ მიმართულების კვლევაში.			
24	სიმონ გოგიტიძე	**ხეთური წყაროების ტოპონიმები ხაიასა და აცი, მათი კავშირი ქართველურ სამყაროსთან** VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია ონომასტიკაში	23-24 აპრილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი
ანოტაცია ქართულ ენაზე ხაიასა უნდა იყოს წარმომდგარი მეგრული სიტყვიდან **ხაია**, რაც ქართული **იელის** შესატყვისი მეგრული სახელია, რომელიც, ასევე, ადამიანის საკუთარ სახელს წარმოადგენდა, ხოლა **-შა** – ლაზური შობის გამომხატველი სუფიქსია, **ხაიაშა** ნიშნავს ხაიას შვილებს, შთამომავლობას.			
25	სიმონ გოგიტიძე	**ხაიასა-აცის ეთნიკური კუთვნილება** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია ქართულ ენაზე დახასიათებულია ამ ქვეყნის ოლქების, ტომების და ქალაქების სახელწოდებების			

წარმომავლობა და ქართველური სამყაროსადმი მათი კუთვნილების საკითხი.			
26	ოლეგ ჯიბაშვილი	**პონტოელ ბერძენთა წიაღში ლაზთა ასიმილაციის საკითხისათვის.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ჩვენი სულიერების ბალავარი" – VII**	17-18 აპრილი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემებისა და დოკუმენტური მასალების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ე.წ. "პონტოელ ბერძნებს", რომელთა რიცხვი დღეს მსოფლიოში სამ მილიონზე მეტია, ეთნიკური თვალსაზრისით, უმეტეს შემთხვევაში, ლაზურ-ქართული წარმომავლობა გააჩნიათ. ხაზგასმულია, რომ საუკუნეების განმავლობაში რეგიონში მიმდინარე არასასურველმა ეთნო-რელიგიურმა პროცესებმა მათი თანდათანობითი ელინიზაცია გამოიწვია. საქართველოს ხელისუფლებისა და ეკლესიის მისამართით მინიშნებულია, რომ მათი ერთობლივი ძალისხმევით აღდგენილ იქნეს ქართული ეროვნული ცნობიერება საქართველოში მცხოვრებ ლაზ ქრისტიანთა შთამომავლებში, რომლებიც დღეს ბერძნებად არიან ცნობილნი.			
27	ოლეგ ჯიბაშვილი	**ხიმშიაშვილთა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში** სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **"ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში"**	19 ივნისი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გაშუქებულია სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალთა დიდი წვლილი XIX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და აჭარის ოსმალთაგან გამოხსნის საშვილიშვილო საქმეში			
28	ოლეგ ჯიბაშვილი (თანამომხსენებელი ისტ. დოქტორი ხათუნა დიასამიძე)	**აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო ბათუმში** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია 1909 წლის 14 იანვარს ბათუმში ჩატარებული აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე, რომელიც წარმოადგენდა დამაგვირგვინებელ ღონისძიებას საქართველოში 1908 წლის დეკემბერსა და 1909 წლის იანვარში მიმდინარე აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებისა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული დღესასწაულის მასშტაბურობა და სახალხო ხასიათი, გარკვეულწილად, უკავშირდებოდა 1907 წელს ილიას მკვლელობით გამოწვეულ ეროვნული ცნოებიერების გამძაფრებას ქართველ ხალხში.			
29	ოლეგ ჯიბაშვილი	**ნიკო ბერძენიშვილის „ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიცია ჯავახეთში და ქართულ-სომხური ურთიერთობები.** ნიკო ბერძენიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი	19 მარტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

		მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია	
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გაშუქებულია 1933 წელს ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით ჯავახეთში მოწყობილი სამეცნიერო-სადაზვერვო ექსპედიციის მნიშვნელობა. ნაჩვენებია ექსპედიციის მიერ ჯავახეთში გამოვლენილი სერიოზული პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აქ გადმოსახლებული სომხების მცდელობას მოეხდინათ მხარის არმენიზაცია და წაეშალათ აქ ქართული კვალი, რაც გამოიხატებოდა მათი მხრიდან ისტორიისა და კულტურის ძეგლების განადგურებას და ჯავახეთის რეალური ისტორიის დამახინჯებაში.			
30	ოლეგ ჯიბაშვილი	**ლაზები ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის სამსახურში.** საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის მამია დუმბაძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	28-29 მაისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში დახასიათებულია ერეკლე II-ის მიერ სამთო-მეტალურგიული პოტენციალის აღდგენის მიზნით ფართოდ გაშლილი საქმიანობა, რომელშიც, ერეკლესავე ინიციატივით, აქტიურად იყვნენ ჩაბმული ოსმალეთიდან (გიუმიშხანეს სანჯაყიდან) გადმოსახლებული ე.წ. "პონტოელი ბერძნები". სხვადასხვა მასალის მოშველიებით დასაბუთებულია მათი ქართულ-ლაზური წარმომავლობა და ხაზგასმულია ლაზთა წვლილი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთის ეკონომიკური განვითარების საქმეში.			
31	ირინა ვარშალომიძე	**ახალი ნუმიზმატიკური მასალა ბათუმის შემოგარენიდან.** საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა" – VI**	5-6 სექტემბერი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ბათუმის შემოგარენში (განთიადში, მახოში, გონიოში) სხვადასხვა დროს გამოვლენილი ანტიკური, რომაული, ბიზანტიური ხანის ნუმიზმატიკური მასალა. დიდი ადგილი აქვს დათმობილი 2003 წელს ხელვაჩაურის სოფ. კაპანდიბში აღმოჩენილი არაბული მონეტების განძის განხილვას და მნიშვნელობას.			
32	რუსლან ბარამიძე, ზაზა შაშიკაძე	1871 წლის ცნობა ბათუმის მეჩეთის ვაყუფების შესახებ არტანუჯში. საერთაშორიოს სამეცნიერო კონფერენცია სამხრეთ–დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო	17–18 აგვისტო, ბათუმი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგენილია არტანუჯის დავთრის ერთი ცნობა 1871 წლისათვის ბათუმის მეჩეთის ვაყუფების შესახებ, რომელშიც აღწერილია ცნობა აღწერს ბათუმის მეჩეთის მდგომარეობა და მისი ვაყუფიდან მიღებული თანხის განაწილება სამეურნეო და სამშენებლო			

საქმიანობის საქმეში.			
33	რუსლან ბარამიძე ზაზა ზაშაშიკაძე	ბათუმის მოსახლეობის დინამიკა ოსმალურ და რუსულ აღწერების მიხედვით (1830-1890-იანი წლები) „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“, სამეცნიერო კონფერენცია, VI – ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,	5-6 სექტემბერი, ბათუმი
ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში განხილულია ოსმალური პერიოდის აღწერების მასალების, მიხედვით წარმოდგენილია მოსახლეობის სქესობრივი, ასაკობრივი და სამეურნეო ხასიათისა და მოსახლეობის დინამიკის ამსახველი მონაცემები. ნაჩვენებია, რომ ეს მონაცემები იცვლებოდა რუსეთ–ოსმალეთის ომების, მოსახლეობის მიგრაციისა და შემოდგომში ბათუმის მოსახლეობის ზრდის კვალობაზე.			
34	რუსლან ბარამიძე	ქართული მუსლიმური ძეგლები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია„კულტურა და ხელოვნება: კვლევადა მართვა“, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლოუნივერსიტეტი	2015 წლის 14–15 ნოემბერი
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში აღწერილი და დახასიათებულია თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მუსლიმური საკულტო ძეგლების მშენებლობის, რესტავრაციის და დღევანდელი მდგომარეობის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეჩეთების სამშენებლო, დეკორატიულ შემკულობის ასპექტების დახასიათებას.			
35	ჯემალ ვარშალომიძე	„სარფის ეთნოგრაფიული პანორამა“. „აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება–საარქივო სამმართველოს საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ–დასავლეთ საქართველო (ისტორიაბ არქეოლოგია, ეთნოლოგია)“	ბათუმი , 2015 წ. 17–18 სექტემბერი.
ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული ლაზების წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების ეთნოგრაფიული მახასიათებლები, სარფელ ლაზთა მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის საკითხები და სხვ.			
36	ჯემალ ვარშალომიძე	მეთევზეობა სოფელ სარფში. ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბათუმი , 2015 წ. 1 ოქტომბერი,
ანოტაცია ქართულ ენაზე ეთნოლოგიური და სხვა მონაცემების მიხედვით მოხსენებაში დახასიათებულია რომ სარფელთა უძველესი სამეურნეო საქმიანობას მეთევზეობა წარმოადგენდა.			
37	თამილა ლომთათიძე შუშანა	ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897წ. (სტამბულის ქართველთა სა-	ბათუმი, 2015 წ. 5-6 სექტემბერი

	ფუტკარაძე როინ მალაყმაძე ელზა ფუტკარაძე ნაილა ჩელებაძე შორენა ფუტკარაძე	ვანეში დაცული მასალების მიხედვით) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა”	
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე სტამბულის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით მოხსენებაში მიმოხილულია 1897 წლის გაზეთ „ცნობის ფურცელში” დაცული ცნობები ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ 1897წ. გაანალიზებულია ბათუმში უფასო სახალხო ბიბლიოთეკის, გიმნაზიის გახსნის, მარიამის დედათა სასწავლებლის ექვსკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთების ღონისძიებებთან დაკავშირებული სტატიები. მოცემულია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა (გრიგოლ ვოლსკი, ლუკა ასათიანი) წვლილი აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნებასა და შემდგომ განვითარებაში.			
38	თამილა ლომთათიძე ნანა სტამბოლიშვილი	არქაული საცეკვაო რიტუალების სიმბოლიზმი (აჭარა) აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება– საარქივო სამმართველოს საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“	ბათუმი, 2015 წ. 17-18 სექტემბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მიმოხილულია აჭარის საცეკვაო ფოლკლორის ნიმუშებში შემონახული ქართველთა სიმბოლური აზროვნების მითოლოგიური, მაგიურ-რელიგიური, კოსმოგონიური ასპექტები. გაანალიზებულია უძველესი საცეკვაო რიტუალების საკრალური ელემენტები			
39	თამილა ლომთათიძე	ბუნების ძალთა აღორძინების დღესასწაულის ელემენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფაში. გიორგი ჩიტაიას დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „ეთნოლოგია გუშინ და დღეს: კულტურის კვლევის პრობლეები”	თბილისი, 2015 წ. 10-12 ნოემბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში დახასიათებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფაში დაცული უძველესი რიტუალები: ფადიკო, დათვობია, ბერობა, მარიობა, თავუქბარი, ვარდობისაი, ხიდირელეზი და სხვ. და მათში შემონახული საკრალური ელემენტები, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალური პრაქტიკა, რომელიც ავლენს ამ ჩვეულებების კავშირს ბუნების ძალთა აღორძინების ტრადიციულ დღესასწაულებთან.			
40	ნარგიზ ახვლედიანი	ქართველი საზოგადო მოღვაწეები მუჰაჯირობის შესახებ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ცენტრის III (XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.	ბათუმი, 2015 წლის 29 იანვარი,
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებანი მუჰაჯირობაზე და			

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განცხადება (დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1880 წლის 5 აგვისტოს), რომლის მიზანი იყო მუსლიმანი მოსახლეობის დამშვიდება და გასახლებაზე უარის თქმა.			
41	ნარგიზ ახვლედიანი	ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველოლოგიური ონომასტიკის სამეცნიეროო–კვლევითი ცენტრის VII რესპუბლიკური სამეცნიერო სესია	2015 წლის 23–24 აპრილი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ტოპონიმ „ფერია“–ს ეტიმოლოგიაზე და გარკვეულია მისი რაობა.			
42	ნარგიზ ახვლედიანი	ზოგი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის მახინჯაურში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ქ. ბათუმის მერია საერთაშორისო კონფერენცია „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“ VI	ბათუმი, 2015 წლის 5–6 სექტემბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში გარკვეულია, რომ აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში კარგად ცნობილი „მწვანე კონცხისა“ და „განთიადის“ ადრინდელი სახელმწოდებები იყო „წყავნარი კონცხი“ და „ორპირი“. აქვე განხილულია გეოგრაფიული სახელის „სასირე ყელის“ ეტიმოლოგია.			
43	ნარგიზ ახვლედიანი	ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია	2015 წლის 23–24 ოქტომბერი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მიმოხილულია მახინჯაურის ტერიტორიაზე არსებული რუსულენოვანი ტოპონიმების არსებობა და ყურადღება გამახვილებულია ტოპონიმ „გუბანოვზე“ რომლის ძველი სახელწოდებაა „ოჯინჯია“.			
44	ნარგიზ ახვლედიანი შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე შორენა ფუტკარაძე	სტუმრად სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	2015 წლის 5–6 სექტემბერი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ავტორთა მიერ 2014 წელს (7 ნოემბერი–3 დეკემბერი) სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში მოძიებული მასალებისა და აკაკი წერეთლის იმ სიტყვის მნიშვნელობაზე, რომელიც დაბეჭდილია სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ 1897 წლის გაზეთ „ივერიაში“.			

45	შოთა ზოიძე	აკაკი წერეთელი აჭარაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ-ცია-„ბათუმი–წარსული და თანამედ-როვეობა“	2015 წ. 5–6 სექტემბერი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია აკაკი წერეთლის ჩამოსვლა ბათუმში, მოსახლეობისა და ინტელიგენციის მასთან შეხვედრა და მისდამი გამართული სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. ანალოგიური მოხსენება წაკითხული იქნა ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმ-წიფო უნივერსიტეტში აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე.			
46	ნანი გუგუნავა	ღვთაებრივი ნათელი	17–18 აპრილი, 2015. ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის მრავალმხრივი სულიერი მოღვაწეობის საკითხები ფილოსოფიის, პუბლიცისტის, ჰიმნოგრაფის, მხატვარ–ხატმწერის სფეროებში. საუბარია პატრიარქის, როგორც ქვრივ–ობოლთა და სნეულთა მანუგეშებლის პატიმართა შემწყნარებლის, ნიჭიერთათვის ხელის გამართვის და სხვათა მოღვაწეობის შესახებ.			
47	ნანი გუგუნავა	საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია 20 წლისაა	17 მაისი 2015 თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოტანილია საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის 20–წლიანი მოღვაწეობის ამსახველი მასალები მისი განსაკუთრებული როლი ეროვნული განათლების სრულყოფისა და განვითარების საქმეში. ყურადღება გამახვილებულია ამ აკადემიის დამმარსებელისა და მისი პირველი პრეზიდენტის აკად. ნათელა ვასაძის მოღვაწეობაზე, რომლის ხელმძღვანელობით აკადემია ცოცხალი პედაგოგიური აზრის ნამდვილი სამჭედლო გახდა.			
48	ნანული ნოდაიდელი	ბერძნული ლექსიკა აჭარულ დია-ლექტში აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმარ-თველოს საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)“	2015 წ. 18-19 სექტემბერი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ბერძნულ სამყაროსთან კონტაქტების შედეგად აჭარულ დიალექტში დამკვიდრებულ ბერძნულენოვან ტერმინთა (დანტლევა, თემბელი, კონდო, ფერიზი, ღრამი და სხვ.) ლექსიკური ნიმუშები			
49	ნანული ნოდაიდელი	რამდენიმე არქაული ტერმინისათვის აჭარულში. XXXV რესპუბლიკური დიალექტო-ლოგიური სამეცნიერო სესია	2015 წ. 21-22 ოქტომბერი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოჩენილია აჭარულ დიალექტში შემონახული არქაული ეპოქის კუთვნილი ტერმინები, საერთოქართველური და ზანური სუბსტრატის ნიმუშები (რწმელა, წმასნა, წმინდა, ჭიბოშანი და სხვ.).			
50	ნაილე მიქელაძე	მუჰაჯირთა პოეტური სამყარო შუშანა ფუტკარაძის „ჩვენებურების ქართულის“	29.01.2015, ბათუმი

		მიხედვით, III(XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- მუჰაჯირობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი III(XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- მუჰაჯირობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი	
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში წარმოდგენილია შუშანა ფუტკარაძის წიგნში „ჩვენებურების ქართული“ (ტ. III) შეტანილი მუჰაჯირად წასულთა ადამიანების პოეტური შემოქმედების ანალიზი და მნიშვნელობა მუჰაჯირთა პოეტურ შემოქმედებაში.			
51	ნაილე მიქელაძე	აჭარის ფოლკლორში შემონახული ერთი ქრისტიანული ტრადიციის შესახებ, საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტის, პროფესორ მამია დუმბაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია	2015 წლის 28-29 მაისი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია აჭარის ფოლკლორში შემონახულ ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ტრადიციებზე,რომელმაც მრავალსაუკუნოვან ისლამურ რწმენას გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. აგრეთვე მითითებულია საკმეველის გამოყენების ტრადიციასა და დანიშნულებაზე აჭარაში, რომელმაც ცვლილების მიუხედავად ძველი ფუნქცია მაინც შეინარჩუნა.			
52	შუშანა ფუტკარაძე, ნაილე მიქელაძე	წიგნის „აჭარული საუნჯე“ პრეზენტაცია. სამეცნიერო კონფერენცია-მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მემკვიდრეობა	7 მაისი, 2015 წელი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოთხრობილია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნზე „აჭარული საუნჯე“, რომელშიც შესულია 1958 წელს ინსტიტუტის ექსპედიციის დროს ზემო აჭარაში შეკრებილი ზღაპრები, თქმულება–ლეგენდები, ანდაზები და გამოცანები.			
53	ნაილე მიქელაძე	ხის (ურთხელი) კულტი აჭარის ფოლკლორში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)	17-18. 09. 2015წ. ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში დახასიათებულია აჭარაში შეკრებილი ფოლკლორული მასალები ხის კულტისა და კერძოდ ურთხმლის ხის საკულტო დანიშნულებაზე.			

54	შუშანა ფუტკარაძე	ხახულის ტაძარი ისტორიულ წყაროებსა და ლეგენდებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“. VII	ბათუმი, 17–18 აპრილი, 2015 წელი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ისტორიულ წყაროებსა და ლეგენდებში შემონახულ ხახულის მონასტერში საუკუნეთა მანძილზე მოღვაწე სასულიერო პირების კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.			
55	შუშანა ფუტკარაძე	სახელოვანი ქართველი ქალები ხიმშიაშვილთა ოჯახებიდან. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ-ცია მიძღვნილი სელიმ ხიმშიაშვილის გმირული თავგანწირვიდან 200 წლისთა-ვისადმი	ბათუმი, 2015 წლის 19 ივნისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში ასახულია სელიმ ხიმშიაშვილის შთამომავალთა ოჯახების სახელოვანი ქართველი მანდილოსნების–დუდი ხანუმ ბეჟანიძის, ფიქრიე ხიმშიაშვილისა და მელაათ ხიმშიაშვილის–ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები.			
56	შუშანა ფუტკარაძე	მართა იერუსალიმელის წერილის ენისათვის. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლო-გიური სამეცნიერო სესია	ბათუმი, 2015 წლის 23–24 ოქტომბერი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე სტატიაში გაანალიზებულია მართა იერუსალიმელის წერილის ენის ფონეტიკურ–გრამატი-კული და ლექსიკური თავისებურებანი და დადგენილია მისი ვინაობა.			
57	შუშანა ფუტკარაძე	ბათუმის სახე რუსი მოგზაურების დღიურებში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენ-ცია „ბათუმი–წარსული და თანამედ-როვეობა“	ბათუმი,5–6 სექტეიბერი, 2015 წელი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია რუსი მწერლისა და მოგზაურის ევგენი მარკოვის ბათუმურ დღიურებში აღწერილი ძველი ბათუმის ბუნების, მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ისტორიის შესახებ.			
58	შუშანა ფუტკარაძე	სელიმ ხიმშიაშვილის წერილები იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	ქ. გორი, 12 ივნისი, 2015 წელი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სელიმ ხიმშიაშვილის წერილების ტექსტთა იდეურ–მხატვრული ანალიზი და გამოვლენილია ფონეტიკურ–გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, რომლებიც ნიშანდობლივია მე–19 საუკუნის დასაწყისის ქართულისათვის.			
59	შუშანა ფუტკარაძე	აკაკი წერეთელი სტამბოლის ქართულ სავანეში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ეროვნული სამეცნიერო კონ-ფერენცია, მიძღვნილი აკაკი წერეთლის	ქუთისი, 22–23 ოქტომბერი

		დაბადებიდან 175–ე და გარდაცვალები-დან მე–100 წლისთავისადმი	
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის გახსნასა და მისთვის აკაკი წერეთლის სახელის მინიჭებაზე, სავანეში მის სახელზე გამართულ საღამოებზე, სავანეში დაცულ იმ მასალებზე, რომლებიც ასახავენ პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.			
60	ელზა ფუტკარაძე	მუჰაჯირთა მოგონებები, III(XIV) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- მუჰაჯირობა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი	29.01.2015, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია შუახევის რაიონის სოფელ ტბეთიდან მუჰაჯირად წასული ბინალი ქუფჩიოღლის(დავითაძის) ორი ლექსის შესახებ. რომლებიც შთაგონებულია მუჰაჯირების ტრაგიზმით გამოწვეული სევდით. ყურადღება გამახვილებულია ლექსების იდეურ თემასა და მხატვრულ- გამომსახველობით სახეებზე.			
61	ელზა ფუტკარაძე	ლექსიკური ერთეულები ქვაბაგის ხევის მეტყველებიდან. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია	23-24 ოქტომბერი,2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ამიერტაოს, კერძოდ ქვაბაგის ხევის, მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურებება. გაანალიზებულია, ერთის მხრივ ქვაბაგელთა მეტყველებაში დაცული არქაული ლექსიკური ერთეულები და მეორეს მხრივ, ახლად გაჩენილი სიტყვა-თქმები.განსაკუთრებული, ყურადღება გამახვილებულია იმ ლექსიკურ ერთეულებზე, რომლებიც მეტნაკლებად განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვითაა დაცული მათ მეტყველებაში.აღნიშნული შინაარსით ეს ლექსიკური ერთეულები ნაკლებად ან საერთოდ არაა დაცული ქართული ენის სხვა დიალექტებში.			
62	ელზა ფუტკარაძე	აჭარიდან გადასახლებული მუჰაჯირი ქართველების პოეტური მემკვიდრეობა, სამეცნიერო კონფერენცია-მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული მემკვიდრეობა	7 მაისი, 2015 წელი, თბილისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია აჭარიდან მუჰაჯირად წასულთა პოეტურ მემკვიდრეობაზე. კონკრეტულად კი განხილულია ნური ეფენდი თავდგირიძისა და ბინალ დავითაძის ტკივილიანი, ერთგვარი სულიერი აღსარების გამომხატველი ნიმუშები, მათი ლექსების თემატური ჩანაფიქრი და მხატვრულ- გამომსახველობითი საშუალებები.			
63	ელზა ფუტკარაძე	მუჰაჯირობის თემა მამია ვარშანიძის პოეზიაში, VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-„ჩვენი სულიერების ბალავარი“	17-18 აპრილი,2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მიმოხილულია მამია ვარშანიძის პოეზიის ერთ-ერთ მთავარ სატკივარზე-მუჰაჯირობაზე შექმნილი ნიმუშები, რომლებშიც ავტორმა მხატვრულ დონეზე წარმოგვიდგინა მუჰაჯირთა და შინ			

დარჩენილთა ტრაგიზმით აღსავსე განცდები.			
64	შ.ფუტკარაძე, რ. მალაყმაძე, ნ. ჩელებაძე, **ე.ფუტკარაძე**, თ. ლომთათიძე, შ. ფუტკარაძე.	ბათუმის თვითმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წ.(სტამბულის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით), VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია -„ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა“	5-6 სექტემბერი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია ბათუმის თვითმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ სტამბოლის ქართული სავანის საცავებში დაცული ქართული პერიოდული პრესის მასალების მიხედვით.			
65	შ. ფუტკარაძე, რ. მალაყმაძე, **ე. ფუტკარაძე**	აკაკი წერეთელი სტამბოლის ქართულ სავანეში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია,მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავებისადმი	22-23 ოქტომბერი, 2015 წელი, ქუთაისი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული სამი ხელნაწერისა და სტამბოლში შექმნილი აკაკის საიუბილეო კომიტეტის მიერ შექმნილი ორი წერილის საფუძველზე დახასიათებულია მგოსნის შემოქმედების შეფასება და საიუბილეო მილოცვები.			
66	ციალა ნარაკიძე	ლაზური სამგლოვიარო პოეზია. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენცია	12 ივნისი, 2015 წელი, გორი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ლაზური სამგლოვიარო პოეზიის ნიმუშები, რომელთა შორის ფოლკლორული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მიცვალებულის დატირება. არნოლდ ჩიქობავას მიერ ველზე მოპოვებული და გამოქვეყნებული დატირების რამდენიმე ტექსტის გვერდით წარმოდგენილია ავტორის მიერ ველზე მოპოვებული რამდენიმე ახალი ტექსტიც.			
67	შუშანა ფუტკარაძე ციალა ნარაკიძე ნარგიზ ახვლედიანი შორენა ფუტკარაძე	ქართველი საზოგადო მოღვაწეები მუჰაჯირობის შესახებ XIX საუკუნის დასაწყისის ქართულ პრესაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართველოლოგიის ცენტრი. მუჰაჯირები. III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია	29 იანვარი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში მოთხრობილია იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებიც თავგამოდებით იბრძოდნენ მუჰაჯირობის წინააღმდეგ, რისთვისაც შეიქმნა სპეციალური საზოგადოება აჭარლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. მისი ინიციატორები იყვნენ: ს. მესხი, ი. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ, ნიკოლაძე, თ. სახოკია და სხვები.			
68	შუშანა ფუტკარაძე ციალა ნარაკიძე ნარგიზ ახვლედიანი შორენა ფუტკარაძე	სტუმრად სტამბულის ქართული კულტურის სავანეში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“, VI	5–6 სექტემბერი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე			

მოხსენებაში საუბარია ავტორთა მიერ 2014 წელს (7 ნოემბერი–3 დეკემბერი) სტამბულის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში მოძიებული მასალებსა და აკაკი წერეთლის იმ სიტყვის მნიშვნელობაზე, რომელიც დაბეჭდილია სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ 1897 წლის გაზეთ „ივერიაში“.			
69	ციალა ნარაკიძე	საზღაპრო ეპოსი სარფში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქართველოლოგიის ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია	1 ოქტომბერი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ის ზღაპრები, რომლებიც შეიკრიბა ორად გაყოფილ სარფის ორივე ნაწილში.			
70	ციალა ნარაკიძე თინა შიოშვილი	ლაზური ხალხური საოჯახო საყოფაცხოვრებო პოეზია. V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სამხრეთ–დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)	17–18 სექტემბერი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია იმ საოჯახო და საყოფაცხოვრებო ლექს–სიმღერებზე, რომლებიც ხშირად იუმორის მოშველიებით იჩენს თავს და სრულყოფილად ხატავენ ლაზთა იერსახეს.			
71	ციალა ნარაკიძე	ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი ჩვენებურების ქართულში. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია	23–24 ოქტომბერი, 2015 წელი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია ის ზანური ლექსიკური ელემენტები, რომლებიც შესულია პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ შეკრებილ ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებში.			
72	შორენა ფუტკარაძე	სოფელ ქართლას (ბორჩხის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა) მეტყველების თავისებურებანი. XXXV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები	2015 წლის 23–24 ოქტომბერი, ბათუმი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია სოფელ ქართლას (ბორჩხის რაიონი, თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრებთა მეტყველების ფონეტიკურ–გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, ტოპონიმია. გამოვლენილია ნიგალური კილოს დამახასიათებელი ენობრივი ნიშნები.			
73	შორენა ფუტკარაძე	ექსპედიცია სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში. „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“	ბათუმი, 5–6 სექტემბერი, 2015 წელი
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში საუბარია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან არსებულ ბიბლიოთეკაში შემონახული ქართული პრესის მასალების შესახებ, რომლებიც მოგვითხრობენ დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის ბათუმში სტუმრობის ეპიზოდებზე.			

74	შორენა ფუტკარაძე	მუჰაჯირთა ლექსებში გაცოცხლებცული სამშობლო	ბათუმი, 29.01.2015
მოხსენების ანოტაცია ქართულ ენაზე მოხსენებაში განხილულია მუჰაჯირი ქართველის ნური ეფენდი თავდგირიძის სამშობლოს სიყვარულით გამთბარი უცხოეთის ცის ქვეშ (თურქეთი) დაწერილი ლექსები.			

ბ) უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	ნინო ინაიშვილი	არქეოლოგიური ძეგლები ბათუმის შემოგარენში საერთაშორისო სიმპოზიუმი საკრუიზო გემზე: „ქალაქი-პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე. შუა საუკუნეები – თანამედროვე კავშირები“. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის „ლიმენი. კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“ ფარგლებში.	22.08-28.08.2015. ათენი-პირეოსი-ვოლოსი-ქიოსი-კონსტანცა-ბურგასი-სტამბული.
ანოტაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთავარი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო და მისი მიმდებარე ტერიტორია დასახლებული იყო ადრე ბრინჯაოს ხანიდან. ყველა ნამოსახლარი მდებარეობდა მდინარეების შესართავებთან, რომლებიც ამავეი დროს ნავსადგურებად გამოიყენებოდა. ბერძნული კოლონიების გაჩენა ხსენებულ სანაპიროზე ძვ.წ. მე-6 საუკუნიდან დასტურდება. ქობულეთ-ფიჭვნარი იყო ყველაზე განვითარებული ურბანული სამოსახლო კლასიკურ და ელინისტურ ხანაში. სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე გონიო-აფსაროსმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რომაულ ხანაში, ხოლო პეტრა-ციხისძირმა ბიზანტიურ პერიოდში. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი პონტოს სამყაროს ნაწილი იყო და ამდენად, მოქცეული იყო ბერძნული, რომაული და ბიზანტიური გავლენის სფეროში.		

IV. 1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და გრანტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

№	შესრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის ხელმძღვანელი	პროექტის შემსრუ-ლებლები	დაფინანსების წყარო (ადგილობრივი გრანტი, უცხოური გრანტი)
1	**„ლიმენი. კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“**	პროექტის ორგანიზატორი ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი (თესალონიკი). საქართველოში. პროექტი „ლიმენის“ ლიდერი ორგანიზაცია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი; ლიმენის ქართული ქსელის წევრი ორგანიზაცია ბსუ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.	ნინო ინაიშვილი	ევროკავშირი
ანოტაცია გრანტის მიზანია არქეოლოგიური ძეგლების (ბათუმის ციხე, გონიო-აფსაროსი, პეტრა ციხისძირი), ასევე მუზეუმების (ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, ბათუმის ხელოვნების მუზეუმი, ძმები ნობელების სახელობის მუზეუმი) შესახებ ანოტაციების მომზადება და ქალაქის კულტურული მარშრუტების შექმნა (განთავსებულია საიტზე: www.limenproject.net).				

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სხვა აქტივობები

1. სამეცნიერო ექსპედიციები და მივლინებები

2015 წელს ჩატარდა ერთი კომპლექსური ექსპედიცია და ორი ჯგუფური სამეცნიერო მივლინება. ექსპედიცია (ივლისი), მოეწყო ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ მეცნიერი თანამშრომლები ინსტიტუტის ყველა განყოფილებიდან. მისი მიზანი იყო დამატებითი მასალების მოპოვება 2015 წლის თემისათვის „ქედის მუნიციპალიტეტი“, რომელიც სრულდება ხუთწლიანი თემის („აჭარის ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულები“ (2013–2017 წლები) ფარგლებში. წინა წლებში დამუშავდა თემები ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე.

ექსპედიციამ გამოავლინა ახალი დამატებითი მასალები მატერიალური კულტურის ძეგლებზე (საცხოვრებელი ნაგებობანი, ქვის თაღიანი ხიდები, ქვის საცეხველები მარან–საწნახელები და სხვ.). წინასწარი დაკვირვებით გაირკვა, რომ მახუნცეთისა და ორცვას ქვის საწნახელები აქ არსებული ეკლესია მონასტრების საკუთრებაში უნდა ყოფილიყო. მარტო სოფელ ორცვაში ქვის სამი საწნახელი დაფიქსირდა, რაც წინა წლებში მოძიებულ სხვა მარან–საწნახელებთან და მონაცემებთან შედარებითი შესწავლის საფუძველზე დღევანდელი ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მევენახეობა–მეღვინეობის ერთ–ერთ უძველეს და დაწინაურებულ კერად გამოიყურება. ექსპედიციის პერიოდში მასალები ჩაწერილი იქნა აგრეთვე პოლიტიკური რესპესიების შესახებ, რამაც ქედის რაიონიდან რამდენიმე პირი იმსხვერპლა. ეს მასალები დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ ყოფილა.

სამეცნიერო მივლინება (7–10 სექტემბერი), რომელშიც 10 კაცი ღებულობდა მონაწილეობას, ჩატარდა შავშეთ–იმერხევსა და ტაოში (სოფლები: ტბეთი, დოლის ყანა. იშხანი, ოშკი, ხახული, ხანძთა, სათლელის ციხე). მასალები შეიკრიბა აქაური ქართველი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე, მოპოვებული იქნა დამატებითი მასალები მატერიალური კულტურის ძეგლებზე. შესრულდა დიდძალი ფოტო და ვიდეო გადაღებები. მასალები ინახება ინსტიტუტშის არქივში. ექსპედიციის შედეგებზე აჭარის ტელევიზიისა და ინსტიტუტის მიერ მომზადდა სერიული პროექტი–„მოგზაურობა წარსულში“, რომელიც აჭარის ტელევიზიის მიერ ხუთ ნაწილად გადაიცა.

სოფელ კირნათში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ისტორია–არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სიმონ გოგიტიძე, რომელმაც მასალები შეკრიბა სოფლის ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე, ტოპონიმიკაზე, გვარსახელებზე, სოფლის ინტელიგენციის საქმიანობაზე.

ორჯერ ჩატარდა სამეცნიერო მივლინება (მაისი, ნოემბერი) სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის ფარგლებში. მოპოვებული იქნა მასალები ქალაქ ბათუმისა და აჭარის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე (გადაღებული იქნა ამ მასალების ქსეროასლები, ფოტოასლები).

2. **მონაწილეობა სალექციო და საგანმანათლებლო საქმიანობაში** მეცნიერ თანამშრომელთა ნაწილი (ნაილა ჩელებაძე, ნაილე მიქელაძე, ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, უჩა ოქროპირიძე, ოლეგ ჯიბაშვილი) ლექციებს კითხულობენ საქართველოს საპატრიარქოს წმ. აბუსერისძე ტბელის სახელობის ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტში. ისინი ხელმძღვანელობას უწევენ აგრეთვე ამ უნივერსიტეტის სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებების მომზადებაში. უფროსმა მეცნიერმა, ეთნოლოგმა ნაილა ჩელებაძემ საჯარო ლექციაც ჩაატარა წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელობის სკოლაში თემაზე: „ქართველთა ეთნოგენეზის საკითხისათვის“.

უფროსი მეცნიერი თანამგრომელი ოლეგ ჯიბაშვილი მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო სპეციალობის სტუდენტთა საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში, რომელიც მესტიაში ჩატარდა (9–17 ივლისი). ხოლო ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი როინ მალაყმაძე, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი უჩა ოქროპირიძე და ოლეგ ჯიბაშვილი, როგორც ჟიურის წევრები, მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ქალაქ ბათუმის სკოლების მოსწავლეთა ინტელექტუალურ თამაშებში „რა? სად? როდის?“ ოლეგ ჯიბაშვილმა სელიმ ხიმშიაშვილის გმირული აღსასრულიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეებში ლექცია–საუბრები ჩაატარა ქალაქ ბათუმის №1, №10 და №22–ე სკოლებში.

ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსმა, მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა შუშანა ფუტკარაძემ და ამავე განყოფილების მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელთმა ელზა ფუტკარაძემ აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და უნივერსიტეტის ერთობლივ ღონისძიებაზე, რომელიც მიეძღვნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს, საჯარო ლექციები წაიკითხეს შემდეგ თემებზე: „სტამბოლის ქართული სავანის კულტურული მემკვიდრეობა“ დ „მუჰაჯირ ქართველთა პოეტური შემოქმედება“.

3. 2016 წლის გეგმით დასაბეჭდად მომზადებული ნაშრომები

ეთნოლოგიის და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის დოქტორმა ჯემალ მიქელაძემ დასაბეჭდად მოამზადა ნაშრომი „საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ზემო აჭარაში“ (თანაავტორია ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ შამილაძე). წიგნი დაიბეჭდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. დასაბეჭდად მომზადებულია აგრეთვე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის შუშანა ფუტკარაძისა („ჩვენებურების ქართული“, II, 700 გვერდი) და ისტორიის დოქტორის უჩა ოქროპირიძის– („კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი“, 450 გვერდი) ნაშრომები.

4. ნაშრომთა (მონოგრაფია, კრებული) რედაქტორობა, სარედაქციო კოლეგიებში მონაწილეობა და რეცენზირება

ინსტიტუტის ისტორია–არქეოლოგიის განყოფილების უფროსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ბიჭიკო დიასამიძის რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა „ეროვ-ნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში

(რედაქტორი ოლეგ ჯიბაშვილი), კრებულები: „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა“, VI; „ჩვენი სულიერების საუნჯე“, VII. კრებულების პასუხისმგებელი რედაქტორია უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ოლეგ ჯიბაშვილი.

ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ კახიძის რედაქტორობით (მთავარი რედაქტორი) დაიბეჭდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების XI ტომი. მისი რედაქტორები არიან მთავარი მეცნიერი თანამშრომლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბიჭიკო დიასამიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი შუშანა ფუტკარაძე. სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეა ინსტიტუტის დირექტორი ისტორიის დოქტორი როინ მალაყმაძე.

ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების უფროსის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის შუშანა ფუტკარაძის რედაქტორობით მომზადდა და დასაბეჭდად გადაეცა: „აჭარული საუნჯე“, II ტომი, „გამონათლევი“, II ტომი.

ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლების, ისტორიის დოქტორების სიმონ გოგიტიძისა და მაია ჭიჭილეიშვილის რედაქტორობით დაიბეჭდა წიგნები: „ს. სამნიძე. მოვალეობად გადმოღვრილი მადლი“ (ბათუმი, 2015) და „რ. ჩიბურდანიძე. 70–იანელთა ქართული ფერწერა“ (ზოგადი ტენდენციები)“ (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015). ამავე განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის დოქტორი უჩა ოქროპირიძე ითვლებოდა ჟურნალ „ამირანის“ (კავკასიოლოგიის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტის მოამბე“) და ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების კრებულის „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ სარედაქციო კოლეგიების წევრად. ხოლო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მაია ჭიჭილეიშვილი კი კრებულის: „კულტურა და ხელოვნება“ კვლევა და მართვა“ (სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციის მასალები) (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015) სარედაქციო საბჭოს წევრად.

ინსტიტუტში დაიწერა რეცენზიები შემდეგ გამოცემებზე: „რამაზ სურმანიძე. ვლადიმერ ლისოვსკი. ჭოროხის მხარე“ (რ. სურმანიძის თარგმანი რუსულიდან) გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რეცენზენტები ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ კახიძე, „ჯემალ ნოღაიდელი. აჭარული კილოს სალექსიკონო მასალები (XX საუკუნის 20–30–იანი წლები“ (გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2015) (რეცენზენტი ნოდარ კახიძე), „ბათუმი–წარსული და თანამედროვეობა“, თბილისი, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, 2015) (რეცენზენტი ნინო ინაიშვილი).

6. სამეცნიერო კონფერენციები

ა) საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციები

2015 წელს ინსტიტუტმა ჩაატარა ხუთი სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის სამი საერთაშორისო და ორი საინსტიტუტო. საერთაშორისო კონფერენციები მოეწყო თემებზე: „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (2015 წლის 17–18 აპრილი), „ბათუმი, წარსული და

თანამედროვეობა“ (5–6 სექტემბერი), „ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში“ (19 ივნისი (მიეძღვნა სელიმ ხიმშიაშვილის ტრაგიკული აღსასრულიდან 200 წლისთავს). კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ქართველმა და უცხოელმა წარმომადგენლებმა.

საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციები მიეძღვნა აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 120 წლისთავს (19 მარტი) და ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავს. ჩატარდა აგრეთვე საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ვახტანგ შამილაძის დაბადებიდან 80 და გარდაცვალების 10 წლისთავს (29 ოქტომბერი).

ბ) სხვა სახის სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობა

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ–ფოლკლორული მემკვიდრეობის შესწავლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც 2015 წლის 7 მაისს ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ეგიდით. კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ინტიტუტის მთავარმა მეცნიერმა თანამშრომლებმა, ფილოლოგიის დოქტორმა ელზა ფუტკარაძემ და უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნაილე მიქელაძემ („აჭარელ მუჰაჯირთა პოეტური მემკვიდრეობა“, „აჭარული საუნჯე“, II, ბათუმი, 2013“. კონფერენციაზე მოეწყო ფოტო–გამოფენა თემაზე „ მთიანი აჭარის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა“ და ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი „ხიხაძირის ქვაბული“, რომელთა ავტორია ინსტიტუტის სპეციალისტი, კინოდოკუმენტალისტი გივი ნახუცრიშვილი.

კონფერენციის შესახებ ცნობა დაიბეჭდა გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტში“ (2015 წელი, №5).

7. გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები

ამ საქმეში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ თურმანიძე. მან 10 სტატია დაბეჭდა გაზეთ „აჭარაში“, რომლებიც იმ რეპრესირებულ პირებს შეეხება, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ 1937 წელს (ილიას ქათამაძე, სულეიმან ბეჟანიძე, ილიას მეგრელიძე, ხასან ძნელაძე, მემედ ყურშუბაძე, გენჯალი და ისმაილ ბოლქვაძეები, მემედ გოგიბერიძე, ხუსეინ ნაკაიძე, ხასან ლორთქიფანიძე, შაქირ შერვაშიძე (გაზ. „აჭარა“, 2015, №6,8,32, 41,43,45,50, 57,78,91). ო. თურმანიძის წერილები აჭარიდან რეპრესირებულებზე გაზეთ „აჭარაში“ წინა წლებშიც იბეჭდებოდა. გაზეთ „აჭარაში“ (2015, №143, 17–18. XII) დაიბეჭდა როინ მალაყმაძის, ბიჭიკო დიასამიძის, ნოდარ კახიძის ერთობლივი წერილი (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ ფუტკარაძის თანაავტორობით), რომელშიც წინადადება–რეკომენდაციების სახით დასმულია საკითხი აჭარის ზოგიერთი სოფლისათვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭებაზე.

ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთში („ბათუმის უნივერსიტეტი“). გაზეთში სტატიები დაბეჭდეს ნოდარ კახიძემ („ვამაყობ, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი დავამთავრე“ (უნივერსიტეტის 80 წლისთავისთან დაკავშირებით)“, „აჭარა საქართველოს 1935 წლის საექსპედიციო მასალებში“) (№9); შუშანა ფუტკარაძემ („გამოსათხოვარი“. ეძღვნება ხიმშიაშვილთა გვარის წარმომადგენელ ქალებს (№6); ნანი გუგუნავამ („წიგნი, რომელიც საუკუნეებს გაუძლებს“ (№9), უჩა ოქროპირიძემ („კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი“ (№5); ნარგიზ ახვლედიანმა („სამეცნიერო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში“(№9); ელზა ფუტკარაძემ და ნაილე მიქელაძემ („აჭარის ტრადიციული კულტურის დღესასწაული“. ეძღვნება თბილისში 2015 წლის 7 მაისს ჩატარებულ დღეებს თბილისში, რომელშიც თვით ავტორები მონაწილეობდნენ მოხსენებების წაკითხვით (№5). გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (2015 წელი, 5 ივლისი) სტატია გამოაქვეყნა შოთა ზოიძემ აღნიშნულ გაზთებში ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ სულ დაიბეჭდა 20 წერილი.

8. სხვა აქტივობებში მონაწილეობა

აღსანიშნავია ინსტიტუტის სპეციალისტისა და დოკუმენტალისტის, ფოტოგრაფ გივი ნახუცრიშვილის საქმიანობა. მისი აქტიური ორგანიზებითა და მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „მთიანი აჭარის ეთნოგრაფიულ–ფოლკლორული მემკვიდრეობა“. მან მოამზადა და წარადგინა ფოტო–გამოფენა (40 ნამუშევარი). აქვე იქნა ნაჩვენები მის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი „ჯხიხაძირის ქვაბულის ბარში“. მანვე გადაიღო და დაამზადა ფოტო სურათები სელიმ ხიმშიაშვილის კაბინეტისათვის, რომელიც ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოალბომი–„ბათუმის რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი“. მის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი–„სელიმ ხიმშიაშვილი“ ნაჩვენები იქნა ბათუმის უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა (2015 წლის 9 ივლისი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტისა და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე (2015 წლის 3 დეკემბერი).

აღსანიშნავია ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მონაწილეობა აჭარის სატელევიზიო გადაცემებში. ინსტიტუტის დირექტორი როინ მალაყმაძემ, განყოფილების უფროსმა პროფესორმა შუშუნა ფუტკარაძემ გადაცემებში გააშუქეს აჭარის ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საკითხები. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნუგზარ ჩხაიძე საუბრობდა სოციალურ–პოლიტიკური ხასიათის პრობლემებზე. აჭარის ტელევიზიის დილის ტალღაში მიწვეული იყო უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნაილე მიქელაძე, რომელმაც ისაუბრა აჭარის ზეპირსიტყვიერების საკითხებზე.

მთავარმა მეცნიერმა თანამშრომელმა შოთა ზოიძემ ოპონენტობა გაუწია მანანა ჭიჭინაძის სადოქტორო დისერტაციას („საბჭოთა სინამდვილის კრიტიკული ასახვა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში“), რომლის დაცვაც ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა.

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ნანი გუგუნავა, როგორც ამ აკადემიის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელი.

მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მეცნიერმა თანამშრომელმა, ფოტოგრაფმა და არქიტექ-ტორმა ჯემალ მიქელაძემ. იგი მონაწილეობდა ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ყველა სამეცნიერო ექსპედიციაში, რომლის დროს მის მიერ ფოტოზე გადაღებული და ჩახატული იქნა ყოფისა და კულტურის ამსახველი საგნები და ძეგლები.

როინ მალაყმაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი,
ისტორიის დოქტორი

ნოდარ კახიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი

21. XII. 2015